



კონვენცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ

გავრცელება:
საყოველთაო

26 აპრილი, 2018 წელი

შედგენილია: ინგლისურ ენაზე

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტი

ზოგადი კომენტარი №6 (2018) თანასწორობისა და დისკრიმინაციის დაუშვებლობის შესახებ*

I. შესავალი

1. წინამდებარე ზოგადი კომენტარის მიზანია, განმარტოს წევრი სახელმწიფოების ვალდებულება დისკრიმინაციის დაუშვებლობასა და თანასწორობასთან დაკავშირებით, რომელსაც ითვალისწინებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის მე-5 მუხლი.
2. კომიტეტი შეშფოთებას გამოთქვამს, რომ წევრი სახელმწიფოების კანონები და პოლიტიკა შეზღუდულ შესაძლებლობებთან დაკავშირებულ საკითხებს ჯერ კიდევ დახმარებისა და/ან სამედიცინო მოდელების კუთხით უდგება, მიუხედავად იმისა, რომ ეს მოდელები კონვენციას არ შეესაბამება. მსგავსი პარადიგმების მუდმივი გამოყენება ხელს უშლის შშმ პირთა აღიარებას უფლებების სრულყოფილ სუბიექტებად და უფლებების მქონეებად. გარდა ამისა, კომიტეტი აღნიშნავს, რომ წევრი სახელმწიფოები ჯერჯერობით არასაკმარისად ცდილობენ დამოკიდებულებითი ბარიერების გადალახვას შეზღუდული შესაძლებლობის მიმართ. ამის მაგალითია მყარად შენარჩუნებული და დამამცირებელი სტერეოტიპები, სტიგმა და წინასწარი განწყობები შშმ პირთა მიმართ და მათი აღქმა საზოგადოების ტვირთად. საპასუხოდ, აუცილებელია, შშმ პირებმა, წარმომადგენლობითი ორგანიზაციების მეშვეობით, წამყვანი როლი შეასრულონ სამართლებრივი და პოლიტიკური რეფორმების შემუშავებაში.
3. ანტიდისკრიმინაციული კანონებისა და ადამიანის უფლებათა ჩარჩოების გაფართოებას ბევრ წევრ სახელმწიფოში შედეგად მოჰყვა შშმ პირთა უფლებების გაფართოებული დაცვა. მიუხედავად ამისა, ეს კანონები და მარეგულირებელი ჩარჩოები ხშირად არასრულყოფილი და არაეფექტიანია, ან მიუთითებს ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული შეზღუდული შესაძლებლობის მოდელის არასათანადო გააზრებაზე. ბევრი ეროვნული კანონმდებლობა და პოლიტიკა ხელს უწყობს შშმ პირთა გამორიცხვის, იზოლაციის, დისკრიმინაციისა და მათ მიმართ ძალადობის შენარჩუნებას. ხშირ შემთხვევაში, აღიარებული არ არის მრავალგვარი და ინტერსექციური ჩაგვრა, ან ჩაგვრა ასოცირების ფორმით; ასევე ის, რომ გონივრული მისადაგების არარსებობა დისკრიმინაციაა; არ არსებობს სამართლებრივი რეაგირებისა და ზიანის

ანაზღაურების ეფექტიანი მექანიზმები. მსგავსი კანონები და პოლიტიკური მიდგომები, როგორც წესი, არ ითვლება შშმ პირთა მიმართ დისკრიმინაციად, რადგან ისინი მართლდება შშმ პირთა დაცვის, მათზე ზრუნვის ან მათი საუკეთესო ინტერესების მოტივით.

II. შშმ პირთა თანასწორობა და მათ მიმართ დისკრიმინაციის დაუშვებლობა საერთაშორისო სამართალში

4. თანასწორობა და დისკრიმინაციის დაუშვებლობა ერთიანდება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებულ ფუნდამენტურ პრინციპებსა და უფლებებს შორის. ადამიანის ღირსებასთან კავშირის გამო, ეს პრინციპები ყველა უფლების უმნიშვნელოვანესი ნაწილია. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 1-ლი და მე-2 მუხლები აღნიშნავენ, რომ ყველა ადამიანი თანასწორია ღირსებისა და უფლებების კუთხით და კრძალავს დისკრიმინაციას სხვადასხვა ნიშნით, რომელთა სიაც ამოწურული არ არის.

* მიღებულია კომიტეტის მიერ, მე-19 სესიაზე (14 თებერვალი–9 მარტი, 2018წ.).

5. თანასწორობა და დისკრიმინაციის დაუშვებლობა ადამიანის უფლებათა ყველა შეთანხმების ფუნდამენტური ნაწილია. საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ კრძალავს დისკრიმინაციას არასრული სიით მოცემული სხვადასხვა ნიშნით და საფუძვლად უდევს კონვენციის მე-5 მუხლს. გაეროს ადამიანის უფლებათა ყველა კონვენციის¹ მიზანია თანასწორობის დამყარება და დისკრიმინაციის აღმოფხვრა, ამიტომ თითოეული მათგანი მოიცავს ნორმებს აღნიშნული საკითხების შესახებ. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია ითვალისწინებს სხვა კონვენციების გამოცდილებას: მისი პრინციპები თანასწორობასა და დისკრიმინაციის დაუშვებლობასთან მიმართებით გაეროს ტრადიციისა და მიდგომების ევოლუციაა.

6. ტერმინი „ღირსება“ ამ კონვენციაში უფრო ხშირად არის ნახსენები, ვიდრე გაეროს სხვა კონვენციებში ადამიანის უფლებათა შესახებ. ის აღნიშნულია პრეამბულაშიც, რომელშიც წევრი სახელმწიფოები ითვალისწინებენ ამ ორგანიზაციის წესდებასა და მასში ჩამოყალიბებულ პრინციპებს. ეს პრინციპები აღიარებს თითოეული ადამიანისთვის დამახასიათებელ ღირსებასა და ფასეულობას, მათ თანასწორობასა და განუყოფელ უფლებებს კი მიიჩნევს თავისუფლების, სამართლიანობისა და საყოველთაო მშვიდობის საფუძვლად.

7. თანასწორობა და დისკრიმინაციის დაუშვებლობა კონვენციის ძირითადი ნაწილია და მის არსებით მუხლებში მუდმივად მეორდება შემდეგი ფორმულირებით: „სხვების თანასწორად“. ეს ფორმულირება კონვენციის არსებით მუხლებს დისკრიმინაციის დაუშვებლობის პრინციპთან აკავშირებს. ფაქტობრივი თუ აღქმული დარღვევების გამო, ადამიანების ღირსება, პატიოსნება და თანასწორობა მუდმივად ილახება. დისკრიმინაცია ხდება და ხდება მრავალგვარი სახით, მათ შორის, ისეთი სასტიკი ფორმებით, როგორცაა თანხმობის გარეშე ან/და იძულებითი სისტემატური სტერილიზება და სამედიცინო ან ჰორმონალური ჩარევები (მაგ.: ლობოტომია და „ემლის მკურნალობა“), ნარკოტიკების იძულებითი მოხმარება, იძულებითი ელექტროშოკები, თავისუფლების აღკვეთა, „ევთანაზის“ სახელით ცნობილი სისტემატური მკვლელობა, იძულებითი და ძალდატანებითი აბორტი,

¹ საერთაშორისო კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ; კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ; კონვენცია წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ; ბავშვის უფლებების კონვენცია; საერთაშორისო კონვენცია ყველა მიგრანტი მუშაკისა და მათი ოჯახის წევრების დაცვის შესახებ; და კონვენცია ყველა ადამიანის იძულებითი გაუჩინარებისგან დაცვის შესახებ.

ჯანმრთელობის დაცვაზე წვდომის შეზღუდვა, სხეულის დასახიჩრება და ტრეფიკინგი, სახელდობრ, ალბინიზმის მქონე პირების შემთხვევაში.

III. ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული შეზღუდული შესაძლებლობის მოდელი და ინკლუზიური თანასწორობა

8. შეზღუდული შესაძლებლობების ინდივიდუალური და სამედიცინო ფორმები ხელს უშლის თანასწორობის პრინციპის მისადაგებას შშმ პირებისათვის. შეზღუდული შესაძლებლობის სამედიცინო მოდელის მიხედვით, შშმ ადამიანები არ არიან აღიარებულნი უფლებების მქონე პირებად, ისინი მხოლოდ თავიანთი დარღვევების ფარგლებში აღიქმებიან. ამ მოდელების მიხედვით, დისკრიმინაციული ან განსხვავებული მიდგომა შშმ პირთა მიმართ, ან მათი გარიყვა სამედიცინო საფუძვლის მქონე შეზღუდული შესაძლებლობის მიდგომით, ნორმად მიიჩნევა და ლეგიტიმაცია ენიჭება. ინდივიდუალური და სამედიცინო მოდელები გამოიყენებოდა შეზღუდული შესაძლებლობის ყველაზე ადრეული საერთაშორისო კანონმდებლობისა და პოლიტიკის საფუძვლად, მაშინაც კი, როდესაც დაიწყო შეზღუდული შესაძლებლობის კონტექსტისადმი თანასწორობის კონცეფციის მისადაგება. „გონებრივად ჩამორჩენილ პირთა უფლებების კონვენცია“ (1971) და „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დეკლარაცია“ (1975) ადამიანის უფლებათა პირველი ინსტრუმენტებია, რომლებიც მოიცავს შშმ პირთა თანასწორობისა და დისკრიმინაციის დაუშვებლობის ნორმებს. ამ ინსტრუმენტებმა, რომლებსაც „რბილი სამართლის“ ბუნება ჰქონდათ, ნიადაგი მოამზადეს შეზღუდული შესაძლებლობის მიმართ თანასწორობაზე დაფუძნებული მიდგომისათვის, თუმცა ორივე დოკუმენტი მაინც შეზღუდული შესაძლებლობის სამედიცინო მოდელს ეფუძნებოდა და დარღვევას ლეგიტიმურ საფუძვლად მიიჩნევდა უფლებათა შეზღუდვის ან მათზე უარის თქმისათვის. გარდა ამისა, მათი ფორმულირება მოიცავს ისეთ ტერმინებს, რომლებიც ახლა შეუსაბამოდ ან მოძველებულად ითვლება. 1993 წელს „შშმ პირთათვის თანაბარ შესაძლებლობათა უზრუნველყოფის სტანდარტული წესების“ მიღებით, კიდევ ერთი ნაბიჯი გადაიდგა, რადგან „თანაბარი შესაძლებლობები“ შეზღუდული შესაძლებლობის პოლიტიკისა და სამართლის ფუნდამენტურ კონცეფციად იქცა.

9. ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული შეზღუდული შესაძლებლობის მოდელი შეზღუდულ შესაძლებლობებს სოციალურ კონსტრუქციად მიიჩნევს და აღნიშნავს, რომ დარღვევა არ უნდა ითვლებოდეს ლეგიტიმურ საფუძვლად ადამიანის უფლებათა შეზღუდვის ან მათზე უარის თქმისათვის. ეს მოდელი შეზღუდულ შესაძლებლობებს იდენტობის მრავალი შრიდან ერთ-ერთად მიიჩნევს. შესაბამისად, შეზღუდულ შესაძლებლობებთან დაკავშირებული კანონები და პოლიტიკა ითვალისწინებს შშმ პირთა მრავალფეროვნებას. გარდა ამისა, ეს მოდელი ადამიანის უფლებებს ურთიერთდამოკიდებულად, ურთიერთდაკავშირებულად და განუყოფლად მიიჩნევს.

10. თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა, კონვენციის მე-3 მუხლის ზოგადი პრინციპი, თანასწორობის ფორმალური მოდელიდან არსებით მოდელამდე გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯია. ფორმალური თანასწორობა პირდაპირ დისკრიმინაციას ერთსა და იმავე სიტუაციაში მყოფ ადამიანთა თანასწორი მოპყრობით ებრძვის. ის შეიძლება სასარგებლო აღმოჩნდეს უარყოფით სტერეოტიპებსა და წინასწარგანწყობებთან საბრძოლველად, თუმცა არ გვთავაზობს გამოსავალს „განსხვავებულობის დილემიდან“, რადგან

არ ითვალისწინებს და არ იღებს ადამიანებს შორის განსხვავებებს. საპირისპიროდ, არსებითი თანასწორობა მიზნად ისახავს სტრუქტურული და არაპირდაპირი დისკრიმინაციის აღმოფხვრას და ითვალისწინებს ძალაუფლებასთან ურთიერთმიმართებას. ის აღიარებს, რომ „განსხვავებულობის დილემა“ თანასწორობის მისაღწევად მოიცავს ადამიანებს შორის განსხვავებათა როგორც უგულბებლყოფას, ისე აღიარებას.

11. კონვენციის ფარგლებში შემუშავდა თანასწორობის ახალი, ინკლუზიური მოდელი, რომელიც მოიცავს თანასწორობის ძირითად მოდელს და განავრცობს და ავითარებს თანასწორობის შემდეგ ასპექტებს: (a) სამართლიანი გადანაწილების განზომილება, არახელსაყრელი სოციალურ-ეკონომიკური პირობების საპირისპიროდ; (b) აღიარების განზომილება სტიგმის, სტერეოტიპების, წინასწარგანწყობებისა და ძალადობის წინააღმდეგ და ადამიანთა ღირსებისა და ინტერსექციურობის ცნობა; (c) მონაწილეობითი განზომილება, რომლის მიზანია ადამიანთა სოციალური ბუნებისა და სოციალურ ჯგუფებთან მიკუთვნების დადასტურება და ადამიანის სრული აღიარება საზოგადოებაში ჩართვის მეშვეობით; და (d) მისადაგების განზომილება, განსხვავების, როგორც ადამიანის ღირსების საკითხის აღიარებისთვის. კონვენცია ინკლუზიურ თანასწორობას ეფუძნება.

IV. დისკრიმინაციის დაუშვებლობისა და თანასწორობის სამართლებრივი ბუნება

12. თანასწორობა და დისკრიმინაციის დაუშვებლობა პრინციპებიც არის და უფლებებიც (მე-3 მუხლში კონვენცია პრინციპებად მოიხსენიებს, მე-5 მუხლში კი - უფლებებად). ეს ორი ფენომენი კონვენციით გათვალისწინებული სხვა პრინციპებისა და უფლებების განმარტების მექანიზმიც გახლავთ. თანასწორობისა და დისკრიმინაციის დაუშვებლობის პრინციპები/უფლებები კონვენციით გარანტირებული საერთაშორისო დაცვის მთავარი ნაწილებია. თანასწორობის ხელშეწყობა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლა გადამკვეთი ვალდებულებებია, რომლებიც დაუყოვნებლივ უნდა შესრულდეს. ეტაპობრივი განხორციელება მათზე არ ვრცელდება.

13. კონვენციის მე-5 მუხლი, ისევე, როგორც სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის 26-ე მუხლი, ითვალისწინებს ავტონომიურ უფლებას, რომელიც სხვა ნორმებისაგან დამოუკიდებელია. იგი კრძალავს დე იურე ან დე ფაქტო დისკრიმინაციას ნებისმიერ სფეროში, რომელსაც სახელმწიფო ორგანო იცავს და არეგულირებს. მე-4 მუხლის 1(ე) პუნქტთან ერთად წაკითხვისას, ნათელია, რომ ის ვრცელდება კერძო სექტორზეც.

V. ნორმატიული შინაარსი

ა. მუხლი 5(1) - კანონის წინაშე და კანონის ძალით თანასწორობა

14. ტერმინი „კანონის წინაშე თანასწორი“, რომელიც მიემართება ადამიანთა თანასწორ მოპყრობას კანონის, როგორც სფეროს მიერ და მისი გამოყენების ფარგლებში, აღნიშნულია ადამიანის უფლებათა რამდენიმე საერთაშორისო ხელშეკრულებაში. ამ უფლების სრული რეალიზაციისათვის, სამართლის აღსრულებისას დაუშვებელია შშმ პირთა დისკრიმინაცია სასამართლოსა და სამართალდამცველი ორგანოების წარმომადგენელთა მხრიდან. „კანონის ძალით თანასწორობა“ კონვენციის უნიკალური ნაწილია და მიემართება სამართლებრივ ურთიერთობებში ჩართვის შესაძლებლობას. თუ „კანონის წინაშე თანასწორობა“ გულისხმობს უფლებას კანონის მიერ დაცვაზე, „კანონის ძალით თანასწორობა“ მოიცავს კანონის პირადი სარგებლობისათვის გამოყენების უფლებას. შშმ პირებს აქვთ უფლება, ეფექტიანად იყვნენ დაცულნი და პოზიტიურად შეძლონ ჩართვა.

თავად კანონი არსებითი თანასწორობის გარანტიას აძლევს ყველას, ვინც მოცემულ იურისდიქციაში ექცევა. შესაბამისად, იმის აღიარება, რომ ყველა შშმ პირი კანონის ძალით თანასწორია, ნიშნავს, რომ არ უნდა არსებობდეს არანაირი კანონი, რომელიც შესაძლებელს ხდის შშმ პირთა უფლებების უგულვებლყოფას ან შეზღუდვას. მათი უფლებები ყველა კანონმდებლობასა და პოლიტიკაში უნდა აისახებოდეს.

15. „კანონის წინაშე თანასწორობისა“ და „კანონის ძალით თანასწორობის“ ტერმინების მსგავსი განმარტება შეესაბამება კონვენციის მე-4 მუხლის 1(b)(c) პუნქტს, რომლის მიხედვითაც წევრმა სახელმწიფოებმა უნდა: უზრუნველყონ სახელმწიფო ორგანოებისა და ინსტიტუტების მოქმედება კონვენციის შესაბამისად; შეცვალონ ან გააუქმონ დისკრიმინაციული კანონები, რეგულაციები, ტრადიციები და პრაქტიკები შშმ პირთა მიმართ; ყველა პოლიტიკურ გადაწყვეტილებასა და პროგრამაში გაითვალისწინონ შშმ პირთა უფლებების ხელშეწყობა და დაცვა.

ბ. მუხლი 5 (1) - დაცულობა და სარგებლობა კანონით

16. თანასწორი უფლება - „იყოს დაცული“ და „ისარგებლოს კანონით“ - მოიცავს თანასწორობისა და დისკრიმინაციის დაუშვებლობის ურთიერთდაკავშირებულ, თუმცა განსხვავებულ კონცეფციებს. კანონით „თანასწორად დაცულობა“ ნაცნობი ფრაზაა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებებში და ეროვნულ კანონმდებლობებს უწესებს მოთხოვნას, რომ კანონებისა და პოლიტიკის აღსრულებისას არ დაუშვან შშმ პირთა მიმართ დისკრიმინაციის შენარჩუნება ან ჩამოყალიბება. მე-5 მუხლის წაკითხვა კონვენციის 1-ელ და მე-3 მუხლებთან ერთად, ნათლად აჩვენებს, რომ წევრმა სახელმწიფოებმა პოზიტიური ნაბიჯები უნდა გადადგან შშმ პირთა მიერ კანონმდებლობით გარანტირებული უფლებებით თანასწორი სარგებლობისათვის. ხშირად საჭირო ხდება მისაწვდომობა, გონივრული მისადაგება და ინდივიდუალური მხარდაჭერა. ყველა შშმ პირისათვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველსაყოფად, გამოიყენება ტერმინი „კანონით სარგებლობა“. ეს გულისხმობს, რომ წევრმა სახელმწიფოებმა უნდა აღმოფხვრან ბარიერები კანონით დაცვის ყველა საშუალების, კანონზე თანაბარი წვდომის ყველა სარგებლისა და უფლებათა რეალიზაციის სამართლიანობის კუთხით.

გ. მუხლი 5 (2) - დისკრიმინაციის დაუშვებლობა და თანასწორი და ეფექტიანი იურიდიული დაცვა

17. 5(2) მუხლი ეხება შშმ ადამიანებსა და მათთან ასოცირებულ პირთა თანასწორუფლებიანობის მიღწევის სამართლებრივ მოთხოვნებს. შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით დისკრიმინაციის დაუშვებლობის ვალდებულება მოიცავს შშმ ადამიანებსა და მათთან ასოცირებულ პირებს (მაგ.: შშმ ბავშვების მშობლებს). შშმ პირთა თანასწორი და ეფექტიანი დაცვა დისკრიმინაციისაგან ფართო პერსპექტივის ვალდებულებას და წევრ სახელმწიფოებს დაცვის პოზიტიურ პასუხისმგებლობას აკისრებს. მე-2 მუხლში მოცემული განმარტების მიხედვით, დისკრიმინაცია შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე „გულისხმობს შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე აღმოცენებულ ნებისმიერ განსხვავებას, გარიყვას ან დაუშვებლობას, რომლის მიზანს ან შედეგს წარმოადგენს აღიარების, თანაბარი უფლებებისა და პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, სამოქალაქო და ნებისმიერ სხვა სფეროში მათ მიერ ფუნდამენტურ ღირებულებათა რეალიზების მინიმუმამდე დაყვანა ან სრული უარყოფა; იგი მოიცავს დისკრიმინაციის ყველა ფორმას, მათ შორის, უარს გონივრულ მისადაგებაზე“. ეს განმარტება ეფუძნება ადამიანის უფლებათა

საერთაშორისო ხელშეკრულებებით (მაგ.: კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (მუხლი 1) და კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (მუხლი 1)) გათვალისწინებულ სამართლებრივ განმარტებებს, რომლებსაც იგი ორი ასპექტის მიხედვით აფართოებს: პირველ რიგში, ის მოიცავს „გონივრულ მისადაგებაზე უარს“, რომელსაც მიიჩნევს შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე დისკრიმინაციის მაგალითად; გარდა ამისა, იგი მოიცავს ახალ კომპონენტს - ფრაზას „სხვების თანასწორად“. ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენციის 1-ელ და მე-3 მუხლებში მოცემულია მსგავსი, თუმცა უფრო შეზღუდული ფრაზა: „მამაკაცებისა და ქალების თანასწორობაზე დაყრდნობით“. ფრაზა „სხვების თანასწორად“ შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე დისკრიმინაციით არ შემოიფარგლება და სრულად ვრცელდება შშმ პირთა კონვენციაზე. ერთი მხრივ, ეს ნიშნავს, რომ შშმ პირებს არ ექნებათ უფრო მეტი ან ნაკლები უფლება თუ სარგებელი, ვიდრე ზოგად მოსახლეობას; მეორე მხრივ, კი ის წევრ სახელმწიფოებს აკისრებს ვალდებულებას, რომ კონკრეტული ნაბიჯები გადადგან შშმ პირთა დე ფაქტო თანასწორობის მიღწევისაკენ, რათა მათ სრულად ისარგებლონ ადამიანის უფლებებითა და ძირითადი თავისუფლებებით.

18. „დისკრიმინაციის ყველა ფორმა“ გულისხმობს დისკრიმინაციის ყველა ფორმის აკრძალვის ვალდებულებას. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო პრაქტიკა გამოყოფს დისკრიმინაციის ოთხ მთავარ ფორმას, რომლებიც შეიძლება მოხდეს ცალ-ცალკე, ან ერთდროულად:

(a) „პირდაპირი დისკრიმინაცია“ ხდება მაშინ, როდესაც შშმ პირებისადმი მოპყრობა აკრძალული ნიშნის საფუძველზე, მსგავს სიტუაციაში მყოფ სხვა პირებთან შედარებით, ნაკლებად ხელსაყრელია. პირდაპირი დისკრიმინაცია მოიცავს აკრძალული ნიშნით ჩადენილ საზიანო ქმედებებს ან უმოქმედობას, როდესაც შესაძარბელი სიტუაცია არ არსებობს.² დისკრიმინაციის ჩამდენი მხარის მოტივი ან განზრახვა არარელევანტურია დისკრიმინაციის ფაქტის დასადგენად (მაგ.: საჯარო სკოლა, რომელიც შშმ ბავშვს არ იღებს იმის გამო, რომ სასწავლო პროგრამა არ გაუზდეს შესაცვლელი, ამას აკეთებს მხოლოდ ბავშვის შეზღუდული შესაძლებლობის გამო. ამდენად, ეს პირდაპირი დისკრიმინაციის მაგალითია).

(b) „არაპირდაპირი დისკრიმინაცია“³ გულისხმობს ისეთ კანონებს, პოლიტიკას ან პრაქტიკას, რომელიც, ერთი შეხედვით, ნეიტრალურია, თუმცა შშმ პირზე არაპროპორციულად უარყოფითი გავლენა აქვს. ეს ხდება მაშინ, როდესაც რაიმე შესაძლებლობა, თითქოსდა მისაწვდომი, რეალურად კონკრეტულ პირებს გამორიცხავს თავიანთი სტატუსის გამო, რომელიც მათ ამ შესაძლებლობით სარგებლობის საშუალებას არ აძლევს. მაგალითად, თუ სკოლა არ უზრუნველყოფს წიგნებს მარტივად წასაკითხი ფორმატით, ეს ინტელექტუალური დარღვევების მქონე პირთა არაპირდაპირი დისკრიმინაციაა, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ სკოლაში სიარულის უფლება აქვთ, ფაქტობრივად, სხვა სკოლის მომებნა მოუწევთ. ანალოგიურად, თუ გადაადგილების შეზღუდვის მქონე კანდიდატს სამუშაოს მისაღებად გასაუბრება ენიშნება იმ შენობის მეორე სართულზე, რომელსაც ლიფტი არ აქვს, მიუხედავად ინტერვიუზე დასწრების შესაძლებლობისა, ეს სიტუაცია მას უთანასწორო მდგომარეობაში აყენებს;

(c) კონვენციის მე-2 მუხლის თანახმად, „გონივრულ მისადაგებაზე უარი“ დისკრიმინაციაა, თუ არ არის მიღებული შესაბამისი მოდიფიკაციები და

² იხ. ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი №20 (2009) ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებში დისკრიმინაციის დაუშვებლობის შესახებ, პუნქტი 10.

³ იქვე.

კორექტივები (რომელიც „არ იწვევს დაუძლეველ და გაუმართლებელ სირთულეებს“) და აუცილებელია ადამიანის უფლებებითა და ძირითადი თავისუფლებებით თანაბარი სარგებლობისათვის. თანმხლები პირისთვის უარის თქმა, ან შშმ პირისთვის სხვა ფორმით მისადაგება, გონივრულ მისადაგებაზე უარის მაგალითებია;

(d) „შევიწროება“ დისკრიმინაციის ისეთი ფორმაა, როდესაც ხორციელდება შეზღუდულ შესაძლებლობებსა ან სხვა აკრძალულ ნიშნებთან დაკავშირებული არასასურველი ქმედება, რომლის „მიზანი ან შედეგია ადამიანის ღირსების შელახვა და მისთვის დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნა“. ეს შესაძლოა მოხდეს იმ ქმედებებით ან სიტყვებით, რომელთა შედეგად არის განსხვავებულობის განმტკიცება ან შშმ პირთა ჩაგვრა. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეთ შშმ პირებს, რომლებიც ცხოვრობენ სეგრეგირებულ ადგილებში (მაგ.: საცხოვრებელი ინსტიტუციები, სპეციალური სკოლები და ფსიქიატრიული საავადმყოფოები), სადაც დისკრიმინაციის ეს ფორმა ყველაზე სავარაუდო და უჩინარია და, შესაბამისად, ნაკლებად დასჯადიც. ბულინგი და მისი ონლაინფორმა, კიბერბულინგი და კიბერსიძულვილი, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის განსაკუთრებით ძალადობრივი და მავნე ფორმებია. სხვა მაგალითებს შორისაა (შეზღუდულ შესაძლებლობებთან დაკავშირებით) ყველა ფორმის ძალადობა (მაგ.: გაუპატიურება, სასტიკი მოპყრობა და ექსპლუატაცია, სიძულვილით მოტივირებული დანაშაული და ცემა).

19. დისკრიმინაცია შესაძლოა ეფუძნებოდეს ერთ მახასიათებელს, მაგალითად, შეზღუდულ შესაძლებლობებს ან გენდერს, ან მრავალ და/ან ინტერსექციურ მახასიათებლებს. „ინტერსექციური დისკრიმინაცია“ ხდება მაშინ, როდესაც შშმ ან მასთან დაკავშირებული პირი შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე განიცდის ისეთ დისკრიმინაციას, რომელსაც ერთვის კანის ფერი, სქესი, ენა, რელიგია, ეთნიკური, გენდერული ან სხვა სტატუსი. ინტერსექციური დისკრიმინაცია შეიძლება განხორციელდეს პირდაპირი ან არაპირდაპირი დისკრიმინაციის, გონივრულ მისადაგებაზე უარის ან შევიწროების სახით (მაგ.: მიუხედავად იმისა, რომ შესაბამისი ფორმატის არარსებობის გამო ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ ზოგად ინფორმაციაზე წვდომის შეზღუდვა შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველით ყველა პირზე ახდენს გავლენას, უსინათლო ქალისათვის ოჯახის დაგეგმვის მომსახურებაზე უარი მის უფლებებს გენდერისა და შეზღუდული შესაძლებლობების ინტერსექციის გამო ზღუდავს). ბევრ შემთხვევაში ამ ნიშნების ერთმანეთისაგან განცალკევება რთულია. წევრი სახელმწიფოები უნდა ებრძოდნენ მრავალგვარ და ინტერსექციურ დისკრიმინაციას შშმ პირების მიმართ. კომიტეტის მოსაზრებით, „მრავალგვარი დისკრიმინაცია“ გულისხმობს სიტუაციას, რომელშიც პირმა დისკრიმინაცია შეიძლება ორი ან მეტი ნიშნით გამოსცადოს, რაც ამძიმებს ან აღრმავებს ამ პროცესს. ინტერსექციური დისკრიმინაცია მიემართება სიტუაციას, როდესაც რამდენიმე ნიშანი ერთმანეთს განუყოფლად უკავშირდება და ისე მოქმედებს, რომ შესაბამის პირებს აყენებს არახელსაყრელი პირობებისა და დისკრიმინაციის პირისპირ.⁴

20. დისკრიმინაცია „შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე“ შესაძლოა მიემართებოდეს პირებს, რომლებსაც შეზღუდული შესაძლებლობები (ა)ამჟამად აღენიშნებათ, (ბ)წარსულში ჰქონდათ, (გ)ვინც მომავალში დგას ამ რისკის წინაშე, (დ)ვის მიმართაც ივარაუდება შეზღუდული შესაძლებლობები და (ე)ვინც ასოცირებულია შშმ პირთან. ეს ბოლო ფორმა ცნობილია, როგორც „დისკრიმინაცია ასოცირების საფუძველზე“. მე-5 მუხლის ფართო მიზანია

⁴ იხ. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტის №3 (2016) ზოგადი კომენტარი შშმ ქალებისა და გოგონების შესახებ, პუნქტები 4 (გ) და 16.

შეზღუდულ შესაძლებლობებთან დაკავშირებული ყველა დისკრიმინაციული სიტუაციის და/ან დისკრიმინაციული ქმედების აღმოფხვრა და მათ წინააღმდეგ ბრძოლა.

21. „ყველა ფორმით“ დისკრიმინაციისაგან დაცვა გულისხმობს, რომ გათვალისწინებული უნდა იყოს დისკრიმინაციის ყველა შესაძლო ნიშანი და მათი გადაკვეთა. ამ ნიშნებს შორისაა: შეზღუდული შესაძლებლობა; ჯანმრთელობის სტატუსი; გენეტიკური და სხვა მიდრეკილება ავადმყოფობისკენ; რასა, კანის ფერი, წარმომავლობა, სქესი, ენა ან რელიგია; პოლიტიკური და სხვა მოსაზრება; ეროვნული, ეთნიკური, მკვიდრი ან სოციალური წარმომავლობა; მიგრანტის, ლტოლვილის ან თავშესაფრის მამიებლის სტატუსი; ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილება; ეკონომიკური ან ქონებრივი სტატუსი; დაბადება; ასაკი (და არა მხოლოდ); ამ ნიშნების ან რომელიმე ნიშანთან დაკავშირებული მახასიათებლების კომბინაცია.

22. „სრული და ეფექტიანი იურიდიული დაცვა“ დისკრიმინაციისაგან ნიშნავს, რომ წევრ სახელმწიფოებს აქვთ შშმ პირთა დისკრიმინაციისაგან დაცვის პოზიტიური ვალდებულება, რაც მოიცავს კონკრეტული და ამომწურავი ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის ამოქმედების ვალდებულებასაც. შეზღუდულ შესაძლებლობებზე დაფუძნებული და სხვა სახის დისკრიმინაციის ცალსახა სამართლებრივ აკრძალვას უნდა ახლდეს სათანადო და ეფექტიანი სამართლებრივი დაცვის საშუალებები და საჩქეციები, რომლებიც სამოქალაქო, ადმინისტრაციულ და სისხლის სამართალწარმოების პროცესში ინტერსექციურ დისკრიმინაციას უკავშირდება. როდესაც დისკრიმინაცია სისტემურია, კონკრეტული პირისთვის ანაზღაურების უზრუნველყოფას შესაძლოა ფაქტობრივი გავლენა არ ჰქონდეს მიდგომის შეცვლაზე. მსგავს შემთხვევებში, წევრმა სახელმწიფოებმა კანონმდებლობაში უნდა დანერგონ „პროგრესული არამატერიალური ანაზღაურება“, რაც გულისხმობს, რომ წევრი სახელმწიფოები დამატებით და ეფექტიანად დაიცავენ კერძო მხარეებისა და ორგანიზაციების მხრიდან დისკრიმინაციისაგან.

დ. მუხლი 5 (3) - გონივრული მისადაგება

23. გონივრული მისადაგება შეზღუდული შესაძლებლობების კონტექსტში დისკრიმინაციის დაუშვებლობის დაუყოვნებლივი ვალდებულების არსებითი ნაწილია.⁵ გონივრული მისადაგების მაგალითებია: არსებული ობიექტებისა და ინფორმაციის მისაწვდომობა შშმ პირისათვის; მოწყობილობების შეცვლა; აქტივობების რეორგანიზაცია; სამუშაოების ხელახალი გრაფიკის შედგენა; სასწავლო მასალისა და სწავლების სტრატეგიების მისადაგება; სამედიცინო პროცედურის მისადაგება; დამხმარე პერსონალის წვდომა დაუძლეველი და გაუმართლებელი სირთულეების გარეშე.

24. გონივრული მისადაგების ვალდებულებები მისაწვდომობის ვალდებულებებისაგან განსხვავდება. ორივეს მიზანია მისაწვდომობა, თუმცა უნივერსალური დიზაინით ან დამხმარე ტექნოლოგიებით მისაწვდომობა *ex ante* ვალდებულებაა, გონივრული მისადაგება კი - *ex nunc* ვალდებულება;

(a) როგორც *ex ante* ვალდებულება, სისტემებისა და პროცესების მისაწვდომობა უზრუნველყოფილი უნდა იყოს, მაგალითად, შენობაზე, მომსახურებასა თუ პროდუქტზე კონკრეტული შშმ პირის სხვების თანასწორი მისაწვდომობის გაუთვალისწინებლად. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა დააწესონ მისაწვდომობის სტანდარტები, რომლებიც კონვენციის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად,

⁵ იხ. ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი №5 (1994) შშმ პირების შესახებ, პუნქტი 15.

შემუშავდება და მიიღება შშმ პირთა ორგანიზაციებთან კონსულტაციების მეშვეობით. მისაწვდომობა პროაქტიული, სისტემური ვალდებულებაა;

(b) როგორც *ex nunc* ვალდებულება, გონივრული მისადაგება უზრუნველყოფილი უნდა იყოს იმ მომენტიდან, როდესაც შშმ ადამიანი მოითხოვს მიუწვდომელ სიტუაციებსა თუ გარემოზე წვდომას, ან მოისურვებს საკუთარი უფლებების რეალიზაციას. გონივრულ მისადაგებას ხშირად (თუმცა არა აუცილებლად) ითხოვს პირი, რომელსაც წვდომა სჭირდება, ან პირის/ადამიანთა ჯგუფის შესაბამისი წარმომადგენელი. გონივრულ წვდომაზე მოლაპარაკება საჭიროა განმცხადებელთან. გარკვეულ შემთხვევებში უზრუნველყოფილი გონივრული მისადაგება კოლექტიური ან საჯარო სიკეთე ხდება, სხვა შემთხვევებში, მას მხოლოდ განმცხადებლ(ებ)ისთვის მოაქვს სარგებელი. გონივრული მისადაგება ინდივიდუალიზებული რეაქტიული ვალდებულებაა, რომელიც მოქმედებს მისადაგების მოთხოვნის მიღებიდან. იგი ვალდებულების მქონე პირს აკისრებს შშმ პირთან დიალოგის პასუხისმგებლობას. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ გონივრული მისადაგების ვალდებულება არ შემოიფარგლება მხოლოდ იმ სიტუაციით, რომელშიც მისადაგებას შშმ პირი ითხოვს, ან სადაც შესაძლებელია დამტკიცება, რომ ვალდებულების მქონე სავარაუდო პირმა ფაქტობრივად იცოდა შესაბამისი ადამიანის შეზღუდული შესაძლებლობის შესახებ; ის ასევე უნდა მოქმედებდეს ვითარებაში, სადაც ვალდებულების მქონე პოტენციურ პირს უნდა გაეანალიზებინა, რომ კონკრეტული ადამიანის შეზღუდული შესაძლებლობები მისადაგებას საჭიროებს უფლებათა რეალიზების ბარიერთა აღმოსაფხვრელად.

25. გონივრული მისადაგების ვალდებულება, რომელსაც კონვენციის მე-2 და მე-5 მუხლები ითვალისწინებს, შეიძლება დაიყოს ორ ნაწილად: პირველი აწესებს პოზიტიურ სამართლებრივ ვალდებულებას ისეთი გონივრული მისადაგების უზრუნველყოფაზე, რომელიც გულისხმობს აუცილებელი და სათანადო მოდიფიკაციებისა და კორექტივების მიღებას კონკრეტულ შემთხვევებში, კერძოდ, როდესაც ისინი შშმ პირს უცილებლად ესაჭიროება საკუთარი უფლებებით სარგებლობისათვის. ამ ვალდებულების მეორე ნაწილი უზრუნველყოფს, რომ გონივრული მისადაგება ვალდებულების მქონე პირს დაუძლეველ და გაუმართლებელ სირთულეებს არ აკისრებდეს.

(a) „გონივრული მისადაგება“ ერთიანი ტერმინია და არ შეიძლება „გონივრულის“ არასწორი განმარტება გამონაკლისი პუნქტის სახით; „გონივრულობის“ კონცეფცია არ უნდა მოქმედებდეს, როგორც ვალდებულების მკაფიო განმსაზღვრელი, ან მოდიფიკატორი. იგი არ არის მისადაგების ხარჯებისა და რესურსების შეფასების მექანიზმი - ეს მოგვიანებით ხდება, როდესაც „დაუძლეველი და გაუმართლებელი სირთულეები“ ფასდება. ამის ნაცვლად, მისადაგების გონივრულობა მიემართება მის რელევანტურობას, სათანადოობასა და ეფექტიანობას შშმ პირისათვის. მაშასადამე, მისადაგება გონივრულია, თუ აღწევს მიზანს (ან მიზნებს), რომლისთვისაც შემუშავდა და შეესაბამება შშმ პირის მოთხოვნებს;

(b) „დაუძლეველი და გაუმართლებელი სირთულეები“ უნდა აღიქმებოდეს ერთიან კონცეფციად, რომელიც გონივრული მისადაგების ვალდებულების ლიმიტს აწესებს. ორივე ტერმინი უნდა განიხილებოდეს სინონიმებად, ვინაიდან მიემართება ერთსა და იმავე იდეას: გონივრული მისადაგების მოთხოვნა მიმსადაგებელი მხარისათვის გადაჭარბებული ან გაუმართლებელი სირთულეების გარეშე იზღუდებოდეს;

(c) „გონივრული მისადაგება“ არ უნდა გაიგივდეს „კონკრეტულ ზომებთან“, მათ შორის, „აფირმაციული ქმედების ზომებთან“. მიუხედავად იმისა, რომ ორივე კონცეფცია მიზნად ისახავს დე ფაქტო თანასწორობის მიღწევას, გონივრული მისადაგება არადისკრიმინაციული ვალდებულებაა, მაშინ, როდესაც

კონკრეტული ზომები გულისხმობს სხვებთან შედარებით პრეფერენციულ მიდგომას შშმ პირთა მიმართ, უფლებების რეალიზების სიკეთეებიდან ისტორიული და/ან სისტემატური/სისტემური გამორიცხვის საპირისპიროდ. კონკრეტული ზომების მაგალითებია: კერძო სექტორში დასაქმებული შშმ ქალების მცირე რაოდენობასთან დაპირისპირების დროებითი ღონისძიებები ან უმაღლეს განათლებაში შშმ სტუდენტთა რიცხვის გაზრდის მხარდაჭერი პროგრამები. ანალოგიურად, გონივრული მისადაგება არ უნდა გაიგივდეს მხარდაჭერასთან (მაგ.: დამოუკიდებელი ცხოვრებისა და საზოგადოებაში ჩართვის უფლების ფარგლებში პირადი დამხმარეების უზრუნველყოფა, ან მხარდაჭერა სამართლებრივი ქმედუნარიანობით სარგებლობაში).

(d) „პროცედურული მისადაგება“ მართლმსაჯულების მისაწვდომობის კონტექსტში არ უნდა გაიგივდეს გონივრულ მისადაგებასთან; ეს უკანასკნელი არაპროპორციულობის კონცეფციით შემოიფარგლება, პროცედურული მისადაგება კი - არა.

26. გონივრული მისადაგების ვალდებულების შესრულებას წარმართავს შემდეგი მთავარი ელემენტები:

(a) შშმ პირთან დიალოგის გზით, იმ ბარიერების გამოვლენა და აღმოფხვრა, რომლებიც გავლენას ახდენს მის მიერ უფლებებით სარგებლობაზე;

(b) მისადაგების (სამართლებრივი და პრაქტიკული) განხორციელებადობის შეფასება - მისადაგება, რომელიც სამართლებრივად ან მატერიალურად შეუძლებელია - განხორციელებადი არ არის;

(c) მისადაგების რელევანტურობის (აუცილებლობისა და სათანადოობის), ან განსახილველი უფლების რეალიზებაში მისი ეფექტიანობის შეფასება;

(d) შეფასება, თუ რამდენად აკისრებს ცვლილება ვალდებულების მქონე პირს დაუძლეველ და გაუმართლებელ სირთულეებს; იმის განსაზღვრა, თუ რამდენად დაუძლეველი ან გაუმართლებელია მისადაგება, აუცილებლად მოითხოვს მიზნების, ანუ განსახილველი უფლებით სარგებლობისა და გამოყენებულ საშუალებათა პროპორციულობის შეფასებას;

(e) გონივრული მისადაგება უნდა შეესაბამებოდეს შშმ პირთა თანასწორობის ხელშეწყობისა და მათ მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის აუცილებელი მიზნების მიღწევას. ამგვარად, საჭიროა კონკრეტულ შემთხვევებზე ორიენტირებული მიდგომა, რომელიც დაეფუძნება შშმ პირსა და გონივრული მისადაგების ვალდებულების მქონე ორგანოსთან კონსულტაციებს. შესაძლო განსახილველ ფაქტორებს შორისაა: ფინანსური ხარჯები, არსებული რესურსები (მათ შორის, სახელმწიფო სუბსიდიები), მომსადაგებელი მხარის ზომა (მთლიანობაში), ინსტიტუტსა ან კომპანიაზე ცვლილების ზეგავლენა, მესამე მხარის სარგებელი, უარყოფითი ზეგავლენა სხვა პირებზე და ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების გონივრული მოთხოვნები. სახელმწიფო მხარის ან კერძო სექტორის წარმომადგენლების შემთხვევაში, უნდა შეფასდეს სრული ქონება და არა მხოლოდ ორგანიზაციის კონკრეტული განყოფილების ან დეპარტამენტის რესურსები;

(f) ხარჯები ზოგადად არ უნდა დაეკისროთ შშმ პირებს;

(g) ვალდებულების მქონე პირს, რომელიც განაცხადებს, რომ მასზე დაკისრებული სირთულეები დაუძლეველი და გაუმართლებელია, უნდა დაეკისროს მტკიცების ტვირთი.

27. გონივრულ მისადაგებაზე უარის ნებისმიერი დასაბუთება ობიექტურ კრიტერიუმებს უნდა ეფუძნებოდეს და შშმ პირს დროულად, შესაბამისი ანალიზის თანხლებით მიეწოდოს. გონივრული მისადაგების ფარგლებში

დასაბუთების ტესტი უკავშირდება უფლებების მქონე და ვალდებულებების მქონე პირებს შორის ურთიერთობის ხანგრძლივობას.

ე. მუხლი 5 (4) - კონკრეტული ზომები

28. დისკრიმინაციად არ უნდა ჩაითვალოს კონკრეტული პოზიტიური ან აფირმაციული ზომები, რომლებიც მიზნად ისახავს შშმ პირთა დე ფაქტო თანასწორობის დაჩქარებას ან მიღწევას. მსგავსი ზომები აღნიშნულია ადამიანის უფლებათა სხვა ხელშეკრულებებში (მაგ.: კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (მუხლი 4), ან კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ მუხლი 1 (4)) და მოიცავს გარკვეული პრივილეგიების მიღებას ან შენარჩუნებას არასაკმარისად წარმოდგენილი ან მარგინალიზებული ჯგუფის სასარგებლოდ. ეს ზომები, როგორც წესი, დროებითია, თუმცა, ზოგ შემთხვევაში, კონტექსტისა და გარემოს გათვალისწინებით, საჭიროა პერმანენტული კონკრეტული ღონისძიებები, მათ შორის, განსაკუთრებული დარღვევის ან საზოგადოებაში არსებული სტრუქტურული ბარიერების გამო. კონკრეტული ზომების მაგალითებია: დახმარების ან მხარდაჭერის პროგრამები, რესურსების გამოყოფა ან/და ხელახალი გამოყოფა, თანამშრომლების მიზნობრივი აყვანა, დაქირავება და დაწინაურება, კვოტირების სისტემები, წინსვლისა და გამლიერების ზომები, ასევე, გადავადება და ტექნოლოგიური მხარდაჭერა.

29. წევრი სახელმწიფოების მიერ კონვენციის 5(4) მუხლის ფარგლებში მიღებული სპეციალური ზომები უნდა შეესაბამებოდეს მის პრინციპებსა და ნორმებს. კერძოდ, მათ ხელი არ უნდა შეუწყონ შშმ პირთა იზოლაციას, სეგრეგაციას, სტერეოტიპიზაციას, სტიგმატიზებას ან სხვაგვარ დისკრიმინაციას. შესაბამისად, კონკრეტული ზომების მიღებისას, წევრმა სახელმწიფომ მა მჭიდრო კონსულტაცია უნდა გაიარონ შშმ პირთა ორგანიზაციებთან და აქტიურად ჩართონ ისინი პროცესში.

VI. დისკრიმინაციის დაუშვებლობისა და თანასწორობის კუთხით წევრ სახელმწიფოთა ზოგადი ვალდებულებები კონვენციის ფარგლებში

30. წევრ სახელმწიფოებს ეკისრებათ შშმ პირთა დისკრიმინაციის დაუშვებლობის, ასევე, თანასწორობის უფლების პატივისცემის, დაცვისა და რეალიზების ვალდებულება. ამ კუთხით, წევრმა სახელმწიფომ თავი უნდა შეიკავონ ყველა იმ ქმედებისაგან, რომლებიც იწვევს შშმ პირთა დისკრიმინაციას. კერძოდ, მათ უნდა შეცვალონ ან გააუქმონ დისკრიმინაციული კანონები, რეგულაციები, ტრადიციები და პრაქტიკა. კომიტეტი ამ კუთხით რამდენიმე მაგალითს იყენებს: კანონები, რომლებიც მიემართება მეურვეობას, ან არღვევს სამართლებრივი ქმედუნარიანობის უფლებას; ⁶ კანონები ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ, რომლებიც იძულებითი ინსტიტუციონალიზაციისა და მკურნალობის ლეგიტიმაციას ახდენს; ⁷ შშმ ქალებისა და გოგონების სტერილიზაცია მათი თანხმობის გარეშე; განსახლებისა და ინსტიტუციონალიზაციის მიუწვდომელი პოლიტიკა; ⁸ განათლების

⁶ იხ. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტის ზოგადი კომენტარი №1 (2014) სამართლის თანასწორ სუბიექტად აღიარების შესახებ.

⁷ იხ. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტის სახელმძღვანელო პრინციპები მე-14 მუხლის მე-6 და მე-14 პუნქტების შესახებ. ხელმისაწვდომია კომიტეტის ვებგვერდზე: (www.ohchr.org/EN/HRBodies/CRPD/Pages/CRPDIndex.aspx).

⁸ იხ. მაგ.: ზოგადი კომენტარი №5 (2017) დამოუკიდებელი ცხოვრებისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობის შესახებ, პუნქტი 46.

სეგრეგაციული კანონები და პოლიტიკა;⁹ და საარჩევნო კანონები, რომლებიც შშმ პირებს ხმის უფლებას ართმევს.¹⁰

31. თანასწორობისა და დისკრიმინაციის დაუშვებლობის უფლებათა ეფექტიანი რეალიზაცია საჭიროებს აღსრულების შემდეგი მექანიზმების მიღებას:

(a) ყველა ადამიანის ცნობიერების ამაღლება შშმ პირთა კონვენციით გარანტირებულ უფლებებზე, დისკრიმინაციის მნიშვნელობასა და სამართლებრივი დაცვის საშუალებებზე;

(b) ზომები, რომელთა მიზანია კონვენციით გათვალისწინებული უფლებებისათვის ეროვნულ სასამართლოებში სასარჩელო ძალის უზრუნველყოფა და მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველა იმ პირისათვის, რომლებსაც დისკრიმინაციის გამოცდილება აქვთ;

(c) დაცვა სამაგიერო ზომებისაგან (მაგ.: საჩივრის ან ისეთი საქმისწარმოების შედეგად, რომლებიც მოიცავს თანასწორობის ნორმების გათვალისწინების ვალდებულებას), ცუდი მოპყრობისა ან შედეგებისგან;

(d) სასამართლოში სარჩელის შეტანისა და თანასწორობის უფლების რეალიზაციის კუთხით, კანონიერი ინტერესის მქონე ასოციაციების, ორგანიზაციების ან სხვა იურიდიული პირების მეშვეობით სარჩელის შეტანის სამართლებრივი უფლება;

(e) კონკრეტული წესები მოწმობებსა და მტკიცებულებასთან დაკავშირებით, რათა სტერეოტიპული დამოკიდებულებები შშმ პირთა უნარების შესახებ არ აფერხებდეს ანაზღაურების მიღებას დისკრიმინაციის მსხვერპლთა მიერ;

(f) ეფექტიანი, პროპორციული და შემაკავებელი სანქციები და სათანადო დაცვის საშუალებები თანასწორობის უფლების დარღვევის შემთხვევაში;

(g) საკმარისი და ხელმისაწვდომი სამართლებრივი დახმარება, რათა დისკრიმინაციაზე სამართალწარმოებისას მოსარჩელეს ჰქონდეს წვდომა მართლმსაჯულებაზე.

32. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა გამოყონ შშმ პირთა ისეთი სფეროები ან ქვეჯგუფები (მათ შორის, ისინი, ვინც ინტერსექციური დისკრიმინაციის წინაშე დგანან) რომლებიც, ინკლუზიური თანასწორობის მისაღწევად ან დასაჩქარებლად, კონკრეტულ ზომებს საჭიროებენ. წევრ სახელმწიფოებს ეკისრებათ მსგავსი ჯგუფებისათვის კონკრეტული ზომების მიღების ვალდებულება.

33. წევრი სახელმწიფოების კონსულტაციის ვალდებულებებთან დაკავშირებით, კონვენციის 4(3) და 33(3) მუხლები ხაზს უსვამს შშმ პირთა ორგანიზაციების მნიშვნელოვან როლს კონვენციის განხორციელებასა და მონიტორინგში. წევრმა სახელმწიფოებმა მჭიდრო კონსულტაცია უნდა გაიარონ და აქტიურად ჩართონ პროცესში ორგანიზაციები, რომლებიც საზოგადოების მრავალფეროვან ჯგუფებს წარმოადგენენ. მათ შორის იგულისხმებიან: ბავშვები; აუტიზმის სპექტრის, გენეტიკური ან ნევროლოგიური დარღვევების, იშვიათი და ქრონიკული დაავადებებისა თუ ალბინიზმის მქონე პირები; ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი ან ინტერსექსი პირები; მკვიდრი მოსახლეობა და სოფლად მცხოვრები თემები; ხანდაზმულები, ქალები, შეიარაღებული კონფლიქტის მსხვერპლნი, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები ან მიგრანტები. მხოლოდ ასეთ შემთხვევაშია შესაძლებელი დისკრიმინაციის, მათ შორის, მრავალგვარი და ინტერსექციური დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა.

⁹ იხ. ზოგადი კომენტარი №4 (2016) ინკლუზიური განათლების შესახებ, მუხლი 24.

¹⁰ იხ. *ბუიდუსო და სხვები უნგრეთის წინააღმდეგ* (შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტი/C/10/D/4/2011).

34. კონვენციის მე-5 მუხლთან მიმართებით, წევრ სახელმწიფოებს ეკისრებათ ვალდებულება, გააანალიზონ უთანასწორობის, დისკრიმინაციული პრაქტიკისა და არახელსაყრელი პირობების ტენდენციებზე შეგროვებული მონაცემები და კვლევითი ინფორმაცია, ასევე, თანასწორობის ხელშეწყობი მექანიზმების ეფექტიანობა. კომიტეტი აღნიშნავს, რომ ბევრ წევრ სახელმწიფოში შეინიშნება შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე დისკრიმინაციის განახლებული მონაცემების ნაკლებობა; ასევე, ხშირად, როდესაც ამას ეროვნული კანონმდებლობა და რეგულაციები ხელს არ უშლის, დარღვევა არ არის გამოჩენილი ისეთი კუთხით, როგორცაა: გენდერი, სქესი, გენდერული იდენტობა, ეთნიკური კუთვნილება, რელიგია, ასაკი და იდენტობის სხვა ასპექტები. მსგავსი მონაცემები და მათი ანალიზი ძალიან მნიშვნელოვანია ანტიდისკრიმინაციული და თანასწორობის ხელშეწყობი ეფექტიანი მექანიზმების შემუშავებისთვის.

35. წევრმა სახელმწიფოებმა სათანადოდ უნდა გამოიკვლიონ შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე დისკრიმინაცია და შშმ პირთა მიერ თანასწორობის უფლებით სარგებლობა. კვლევა შშმ პირებს დღის წესრიგის დადგენის ეტაპიდანვე უნდა მოიცავდეს, პროცესში მათი შინაარსობრივი მონაწილეობისათვის. ინკლუზიური და მონაწილეობითი კვლევის პროცესები ჩართული პირებისთვის უსაფრთხო სივრცეს უნდა უზრუნველყოფდეს და ორიენტირებული იყოს შშმ პირთა ცხოვრებისეულ გამოცდილებასა და მოთხოვნებზე.

VII. კონვენციის სხვა დებულებებთან მიმართება

ა. მუხლი 6 - შშმ ქალები

36. შშმ ქალები და გოგონები შშმ პირთა იმ ჯგუფების ნაწილს შეადგენენ, რომლებიც ყველაზე ხშირად ხდებიან მრავალგვარი და ინტერსექციური დისკრიმინაციის მსხვერპლნი.¹⁰ მე-6 მუხლი გადამკვეთია და გათვალისწინებული უნდა იყოს კონვენციის ყველა ნორმასთან მიმართებით.¹¹ მიუხედავად იმისა, რომ „მრავალგვარი დისკრიმინაცია“ მხოლოდ მე-6 მუხლშია ნახსენები, მრავალგვარი და ინტერსექციური დისკრიმინაცია შეიძლება მოხდეს ორი ან მეტი ნიშნის ნებისმიერი კომბინაციით. მე-6 მუხლი დისკრიმინაციის დაუშვებლობასა და თანასწორობასთან დაკავშირებული სავალდებულო მუხლია, რომელიც კრძალავს შშმ ქალებისა და გოგონების დისკრიმინაციას და წევრ სახელმწიფოებს აკისრებს როგორც შესაძლებლობების, ისე შედეგების თანასწორობის ხელშეწყობის ვალდებულებას. გარდა ამისა, მე-6 მუხლი, ისევე, როგორც მე-7, უნდა განიხილებოდეს საჩვენებელ (და არა ამომწურავ) მუხლებად, რომლებიც ვალდებულებებს მრავალგვარი და ინტერსექციური დისკრიმინაციის ორი განსაკუთრებული მაგალითის საფუძველზე აწესებს.

ბ. მუხლი 7 - შშმ ბავშვები

37. შშმ ბავშვები ხშირად ხდებიან მრავალგვარი და ინტერსექციური დისკრიმინაციის მსხვერპლნი. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა აკრძალონ შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე დისკრიმინაციის ყველა ფორმა, რომლებიც კონკრეტულად ბავშვებს მიემართება; უზრუნველყონ ეფექტიანი და მისაწვდომი დაცვის საშუალებები; და, დისკრიმინაციის პრევენციისა და

¹⁰ იხ. ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის ზოგადი რეკომენდაცია №28 (2010) კონვენციის მე-2 მუხლის შესაბამისად წევრი სახელმწიფოების ძირითადი ვალდებულებების შესახებ, პუნქტი 31.

¹¹ იხ. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტის ზოგადი კომენტარი №3, პუნქტი 12.

აღმოფხვრის მიზნით, აამაღლონ საზოგადოებისა და პროფესიონალთა ცნობიერება. მაგალითად, ბევრ წევრ სახელმწიფოში ხშირია ბავშვების ფიზიკური შეურაცხყოფა „დისციპლინის“ ან „უსაფრთხოების“ (მაგ.: შეკავების) მომიზეზებით. მსგავსი ფიზიკური დასჯა ხშირად არაპროპორციულ ზეგავლენას ახდენს შშმ ბავშვებზე. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა აღკვეთონ ბავშვების ფიზიკური დასჯის ყველა ფორმა და სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა ნებისმიერ გარემოში; ასევე, მიიღონ შესაბამისი ზომები ამ აკრძალვის აღსრულებისათვის.

38. „ბავშვის საუკეთესო ინტერესების“ კონცეფცია, რომელიც მოცემულია ბავშვის უფლებების კონვენციის მე-3 მუხლში, შშმ ბავშვებთან მიმართებით უნდა გამოიყენებოდეს მათი კონკრეტული გარემოებების ფრთხილი გათვალისწინებით. წევრმა სახელმწიფოებმა ბავშვებსა და მოზარდებთან დაკავშირებულ ზოგად კანონებსა და პოლიტიკაში უნდა უზრუნველყონ შეზღუდული შესაძლებლობების მეინსტრიმინგი. თუმცა, საუკეთესო ინტერესების კონცეფციამ შშმ ბავშვებს, განსაკუთრებით, გოგონებს, ხელი არ უნდა შეუშალოს პიროვნების ხელშეუხებლობის უფლებით სარგებლობაში. მისი გამოყენება საჭიროა იმისათვის, რომ შშმ ბავშვებს ჰქონდეთ ინფორმაცია, ასევე, კონსულტაციებში მონაწილეობისა და აზრის გამოხატვის საშუალება გადაწყვეტილების მიღების ყველა პროცესში, რომელიც მათ სიტუაციას უკავშირდება. წევრმა სახელმწიფოებმა განსაკუთრებული ზომები უნდა მიიღონ შშმ ბავშვთა მიმართ ძალადობისა და მათი ინსტიტუციონალიზაციის წინააღმდეგ, რომლებსაც, დისკრიმინაციის გამო, საკუთარ ოჯახებში გაზრდის შესაძლებლობა ერთმევათ. მათ უნდა დანერგონ დეინსტიტუციონალიზაციის სტრატეგიები, რომლებიც ბავშვებს დაეხმარება, რომ იცხოვრონ თავიანთ ან თემის ფარგლებში არსებულ ალტერნატიულ ოჯახებში. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ დახმარების ზომებიც, რომლებიც შშმ ბავშვებს მისცემს აზრის გამოხატვის საშუალებას მათზე ზეგავლენის მქონე პროცედურებში, მათ შორის, პარლამენტში, კომიტეტებსა და პოლიტიკური გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებში.

გ. მუხლი 8 - ცნობიერების ამაღლება

39. დისკრიმინაციასთან ბრძოლა შეუძლებელია ხელისუფლებისა და საზოგადოების ყველა სექტორში ცნობიერების ამაღლების გარეშე. შესაბამისად, დისკრიმინაციის დაუშვებლობასა და თანასწორობაზე მიმართულ ზომებს უნდა ახლდეს ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები და მექანიზმები, რომლებიც ცვლის ან აღმოფხვრის შეზღუდულ შესაძლებლობებთან დაკავშირებულ დამამცირებელ სტერეოტიპებსა და უარყოფით დამოკიდებულებებს. გარდა ამისა, ცნობიერების ამაღლების კამპანიების მეშვეობით, უნდა დაიწყოს ბრძოლა ძალადობასთან, საზიანო პრაქტიკებსა და წინასწარგანწყობებთან. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ზომები, რომელთა მიზანია, წახალისოს *inter alia* მედიის მიერ შშმ პირთა წარმოჩენა კონვენციის შესაბამისი ფორმებით და შეცვალოს მათთვის საზიანო შეხედულებები (მაგ.: შშმ პირთა წარმოჩენა საკუთარი თავისა და სხვების მიმართ საშიშ ან ავტონომიის არმქონე სუბიექტებად, რომლებიც არაპროდუქტიულ ეკონომიკურ და სოციალურ ტვირთად მოიაზრებიან საზოგადოებისათვის).

დ. მუხლი 9 - მისაწვდომობა

40. მისაწვდომობა შშმ პირებისათვის დე ფაქტო თანასწორობის მიღწევის წინაპირობა და საშუალებაა. საზოგადოებრივ ცხოვრებაში შშმ პირთა ეფექტიანი მონაწილეობისათვის, წევრმა სახელმწიფოებმა მათ სხვების თანასწორად უნდა მისცენ გარემოს, საზოგადოებრივი ტრანსპორტის, საინფორმაციო და

საკომუნიკაციო მომსახურების მისაწვდომობისა და გამოყენების საშუალება. საკომუნიკაციო მომსახურების კონტექსტში, მისაწვდომობა მოიცავს სოციალურ და საკომუნიკაციო მხარდაჭერას.

41. როგორც ზემოთ აღინიშნა, მისაწვდომობა და გონივრული მისადაგება თანასწორობის კანონებისა და პოლიტიკის ორი განსხვავებული კონცეფციაა:

(a) მისაწვდომობის ვალდებულება უკავშირდება ჯგუფებს და უნდა დაინერგოს ეტაპობრივად, თუმცა უპირობოდ;

(b) გონივრული მისადაგების ვალდებულება კი ინდივიდუალიზებულია, დაუყოვნებლივ მიემართება ყველა უფლებას და შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ გაუმართლებლობისა და არაპროპორციულობის გამო.

42. ვინაიდან გარემოს, საზოგადოებრივი ტრანსპორტისა და საინფორმაციო და საკომუნიკაციო მომსახურების მისაწვდომობის ეტაპობრივ განხორციელებას შეიძლება გარკვეული დრო დასჭირდეს, ამ ხნის განმავლობაში პირთან მიმართებით შეიძლება გამოიყენონ გონივრული მისადაგება, რადგან ეს უკანასკნელი დაუყოვნებლივ შესასრულებელი მოვალეობაა. კომიტეტი სახელმწიფოებს მოუწოდებს, იხელმძღვანელონ №2 (2014) ზოგადი კომენტარით მისაწვდომობის შესახებ.

ე. მუხლი 11 - სარისკო და საგანგებო ჰუმანიტარული სიტუაციები

43. დისკრიმინაცია არ უნდა დაუშვან სარისკო და საგანგებო ჰუმანიტარულ სიტუაციებშიც, რაც მოიცავს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლით - მათ შორის, ჰუმანიტარული განიარაღების სამართლით - გათვალისწინებულ ვალდებულებებს, მსგავს სიტუაციებში შშმ პირთა დისკრიმინაციის განსაკუთრებული საფრთხიდან გამომდინარე

44. შშმ დევნილებსა და/ან ლტოლვილებს ხშირად არ აქვთ წვდომა საბაზისო საჭიროებებზე, როგორცაა წყალი, სანიტარია, საკვები და თავშესაფარი (მაგ.: ჰიგიენის მისაწვდომი საშუალებები, როგორცაა საპირფარეშოები და საშხაპეები, ზოგჯერ არ არსებობს ან არასაკმარისია).

45. სარისკო და საგანგებო ჰუმანიტარულ სიტუაციებში მყოფი შშმ ქალები და გოგონები ძალადობის, მათ შორის, სექსუალური ძალადობისა და ექსპლუატაციის განსაკუთრებით მაღალი რისკის წინაშე დგანან და, ნაკლებად სავარაუდოა, ჰქონდეთ წვდომა გამოჯანმრთელებისა თუ რეაბილიტაციის მომსახურებებსა და მართლმსაჯულებაზე.¹²

46. შესაბამისად, წევრ სახელმწიფოებს ეკისრებათ ვალდებულება, ყველა პროგრამასა და ქმედებაში გაითვალისწინონ დისკრიმინაციის დაუშვებლობის პრინციპი. ეს მოიცავს შემდეგ ასპექტებს: შშმ პირთა სხვების თანასწორად ჩართვა საგანგებო სიტუაციების სახელმწიფო პროტოკოლებში; შშმ პირთა სრული გათვალისწინება საევაკუაციო სცენარებში; საინფორმაციო და საკომუნიკაციო ცხელი ხაზების მისაწვდომობა; ჰუმანიტარული დახმარების მისაწვდომი, არადისკრიმინაციული გავრცელება საგანგებო ჰუმანიტარულ სიტუაციაში მყოფ შშმ პირებზე; საგანგებო თავშესაფრებსა და ლტოლვილთა ბანაკებში წყლის, სანიტარიისა და ჰიგიენის ობიექტების არსებობა და მათი მისაწვდომობა შშმ პირებისთვის. საგანგებო სიტუაციების შემდგომი რეკონსტრუქციის მისაწვდომობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებაში შშმ პირთა თანასწორობისათვის. ამ ასპექტების უზრუნველსაყოფად, საგანგებო სიტუაციების ყველა ეტაპთან დაკავშირებული კანონმდებლობისა და პოლიტიკის შემუშავების, განხორციელების,

¹² იხ. ზოგადი კომენტარი №3, პუნქტები 49-50.

მონიტორინგისა და შეფასების პროცესში წევრმა სახელმწიფოებმა მჭიდროდ უნდა ითანამშრომლონ შშმ პირებთან, მათი წარმომადგენლობითი ორგანიზაციების მეშვეობით.

3. მუხლი 12 - კანონის წინაშე თანასწორობა

47. სამართლებრივი ქმედუნარიანობა მინიმალური უფლებაა და აუცილებელია კონვენციით გათვალისწინებული ყველა სხვა უფლების, მათ შორის, თანასწორობისა და დისკრიმინაციის დაუშვებლობის რეალიზებისათვის. მე-5 და მე-12 მუხლები ფუნდამენტურად უკავშირდება ერთმანეთს, რადგან კანონის წინაშე თანასწორობა უნდა მოიცავდეს შშმ პირთა მიერ სხვების თანასწორად სარგებლობას სამართლებრივი ქმედუნარიანობით. დისკრიმინაციას სამართლებრივ ქმედუნარიანობაზე უარის მიზეზით შესაძლოა ბევრი ფორმა ჰქონდეს. მათ შორისაა სტატუსზე დამოკიდებული, ფუნქციური და შედეგზე დამოკიდებული სისტემები. ნებისმიერი ამ სისტემის მეშვეობით, შეზღუდული შესაძლებლობის გამო უარის თქმა გადაწყვეტილების მიღებაზე, დისკრიმინაციაა.¹³

48. შშმ პირებისათვის კონვენციის მე-5 მუხლით გათვალისწინებულ გონივრული მისადაგებისა და 12(3) მუხლით გათვალისწინებულ სამართლებრივი ქმედუნარიანობის მხარდაჭერის ვალდებულებებს შორის მთავარი განსხვავება ის არის, რომ 12(3) მუხლში მითითებულ ვალდებულებას არანაირი შეზღუდვა არ აქვს. ფაქტი, რომ ქმედუნარიანობის მხარდაჭერას შეიძლება ახლდეს დაუძლეველი და გაუმართლებელი სირთულე, არ ზღუდავს მისი უზრუნველყოფის მოთხოვნას.

49. კონვენციის მე-5 და მე-12 მუხლებს შორის თანმიმდევრულობის უზრუნველსაყოფად, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა:

(a) გაატარონ კანონმდებლობის რეფორმა სამართლებრივ ქმედუნარიანობაზე დისკრიმინაციული უარის ასაკრძალად, რაც სტატუსზე დამოკიდებულ, ფუნქციურ და შედეგზე დამოკიდებულ სისტემებს ეფუძნება. ასეთ შემთხვევებში, ისინი უნდა ჩანაცვლდეს გადაწყვეტილების მიღების მხარდაჭერი მოდელებით, რომლებიც ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე ითვალისწინებს ზრდასრულთა საყოველთაო სამართლებრივ ქმედუნარიანობას;

(b) გადაწყვეტილების მიღების მხარდაჭერი სისტემებისათვის უზრუნველყოფონ რესურსები, რომლებიც შშმ პირებს დაეხმარება არსებულ სამართლებრივ სისტემაში გარკვევის მხრივ. მსგავსი მომსახურების დაკანონება და რესურსებით უზრუნველყოფა უნდა შეესაბამებოდეს № 1 (2014) ზოგადი კომენტარის 29-ე მუხლში მოცემულ ნორმებს კანონის წინაშე თანასწორი აღიარების შესახებ. ეს გულისხმობს, რომ მხარდაჭერის ყველა სისტემა უპირატესობას ანიჭებდეს მხარდაჭერის მიმღები მხარის უფლებებს, სურვილებსა და პრიორიტეტებს და არა იმას, რა აღიქმება მათ საუკეთესო ინტერესად. ზრდასრულებთან დაკავშირებულ ყველა საკითხში, სადაც პირის სურვილისა და პრიორიტეტების განსაზღვრა შეუძლებელია, საუკეთესო ინტერესების კონცეფცია უნდა ჩანაცვლოს სურვილისა და პრიორიტეტების საუკეთესო განმარტებამ.

(c) დისკრიმინაციისაგან დაცვა უნდა უზრუნველყონ მაღალხარისხიანი უფასო იურიდიული კონსულტაციისა და სამართლებრივი დახმარების მისაწვდომი, და დაბალხარისხიანი ადგილობრივი ქსელის ჩამოყალიბებით. ეს პროცესი პატივს უნდა სცემდეს ამ ადამიანების სურვილებსა და პრიორიტეტებს და იცავდეს მათ პროცედურულ უფლებებს (სამართლებრივი ქმედუნარიანობის უფლება) იმავე დონეზე, როგორც გათვალისწინებულია სამართლებრივი წარმომადგენლობის სხვა ტიპებისთვის. წევრმა სახელმწიფოებმა

¹³ იხ. ზოგადი კომენტარი №1, პუნქტი 15.

თანმიმდევრულად უნდა უზრუნველყონ, რომ დაცვის მექანიზმები არ ეფუძნებოდეს სამართლებრივი ქმედუნარიანობის ჩამორთმევას, ან სხვაგვარად არ აფერხებდეს შშმ პირთა წვდომას მართლმსაჯულებაზე.

50. შესაბამისი ორგანოებისათვის (მაგ.: სამართლებრივი გადაწყვეტილების მიმღები, მომსახურების მიმწოდებელი და სხვა დაინტერესებული პირები) უზრუნველყოფილი უნდა იყოს ტრენინგი და განათლება. წევრ სახელმწიფოებს ეკისრებათ ვალდებულება, თანაბრად იყოს გარანტირებული სარგებლობა საზოგადოებაში არსებული ყველა სიკეთითა და მომსახურებით, მათ შორის, 12(5) მუხლში გათვალისწინებული მაგალითებით. აქ იგულისხმება ის სიკეთეებიც, რომელთა მიღებაშიც შშმ პირებს განსაკუთრებული დაბრკოლებები ექმნებათ, მათ შორის, ქონებასა და ფინანსურ საკითხებთან დაკავშირებული მომსახურება (მაგ.: იპოთეკა). 25(ე) მუხლი აღნიშნავს სხვა მომსახურებებსაც, რომლებიც შშმ პირებისათვის, როგორც წესი, მიუწვდომელია: სახელდობრ, სიცოცხლისა და (კერძო) ჯანმრთელობის დაზღვევა. წევრმა სახელმწიფოებმა, კერძო სექტორში სიკეთეებითა და მომსახურებით თანაბარი სარგებლობისათვის, აქტიური და ყოვლისმომცველი მიდგომა უნდა შეიმუშაონ. ეს მოიცავს ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის გაძლიერებას ისე, რომ კერძო სექტორზეც გავრცელდეს. აუცილებელი ცვლილებებისათვის პარტნიორთა მოსაძიებლად, საჭიროა პროფკავშირებსა და სხვა აქტორებთან თანამშრომლობა.

ზ. მუხლი 13 - მართლმსაჯულების მისაწვდომობა

51. მე-5 მუხლით გათვალისწინებული უფლებები და ვალდებულებები თანასწორობასა და დისკრიმინაციის დაუშვებლობასთან მიმართებით, წარმოაჩენს განსაკუთრებულ მოსაზრებებს მე-13 მუხლთან დაკავშირებით, რომელიც ითვალისწინებს პროცედურულ და ასაკის შესაბამის მისადაგებას. პროცედურული მისადაგება გონივრული მისადაგებისაგან განსხვავდება იმით, რომ არ შემოისაზღვრება დაუძლეველობით. პროცედურული მისადაგების მაგალითია შშმ პირებისათვის კომუნიკაციის სხვადასხვა მეთოდის აღიარება სასამართლოსა და ტრიბუნალების წინაშე წარდგომისას. ასაკის შესაბამისი მისადაგება შეიძლება მოიცავდეს საჩივრის შეტანის არსებულ მექანიზმებსა და მართლმსაჯულების მისაწვდომობაზე ინფორმაციის გავრცელებას ასაკის შესაბამისი და ადვილად გასაგები ენით.

1. მუხლი 13 (1)

52. მართლმსაჯულების ეფექტიანი მისაწვდომობისათვის, პროცესები შესაძლებელს უნდა ხდიდეს მონაწილეობას და იყოს გამჭვირვალე. მონაწილეობის ხელშემწყობი ქმედებები მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- (a) ინფორმაციაზე წვდომა გასაგები და მისაწვდომი ფორმატით;
- (b) კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმის აღიარება და მისადაგება;
- (c) ფიზიკური მისაწვდომობა პროცესის ყველა ეტაპზე;
- (d) სამართლებრივი დახმარების შემთხვევაში, ფინანსური დახმარების გაწევა საჭიროების შესაბამისად, ასევე, საჭიროებისა და დამსახურების კანონით დადგენილ ტესტებზე დაყრდნობით;

53. შესაბამისი ზომების მიღება იმ ადამიანების დასაცავად, რომლებსაც მხარდაჭერის მიღების შემთხვევაშიც კი არ აქვთ თავდაცვის უნარი, ან ვისი საშუალებებიც მკვეთრად იზღუდება მსგავსი მცდელობების უარყოფითი შედეგების შიშით, საჯარო ინტერესის დაცვის ქმედებებია (*actio popularis*).

54. გარდა ამისა, გამჭვირვალობისათვის, წევრმა სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ყველა საჭირო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, ასევე, ყველა რელევანტური საჩივრის, საქმისა და სასამართლო ბრძანებულების სათანადო ჩანაწერები და ანგარიშგება.

2. მუხლი 13 (2)

55. უფლებებისა და ვალდებულებების სათანადო პატივისცემისა და შესრულებისთვის, აუცილებელია სამართალდამცველთა ტრენინგი, უფლებების მქონე პირთა ცნობიერების ამაღლება და ვალდებულებების მქონე პირთა შესაძლებლობების განვითარება. შესაბამის ტრენინგში გათვალისწინებული უნდა იყოს:

(a) ინტერსექციურობის კომპლექსურობა და ის ფაქტი, რომ ადამიანის იდენტიფიცირება არ ხდებოდეს მხოლოდ მისი დარღვევის მიხედვით. ინტერსექციურობაზე ცნობიერების ამაღლება უნდა შეესაბამებოდეს დისკრიმინაციისა და ჩაგვრის კონკრეტულ ფორმებს;

(b) შშმ პირთა მრავალფეროვნება და მათი ინდივიდუალური საჭიროებები, რათა მათ სხვების თანასწორად ჰქონდეთ ეფექტიანი წვდომა მართლმსაჯულების სისტემის ყველა ასპექტზე;

(c) შშმ პირთა ინდივიდუალური ავტონომია და ყველა ადამიანის სამართლებრივი ქმედუნარიანობის მნიშვნელობა;

(d) ზომები, რომლებიც მიემართება პერსონალის, მათ შორის, ადვოკატების, მაგისტრატების, მოსამართლეების, ციხის პერსონალის, ჟესტების ენის თარჯიმნების, ასევე, პოლიციისა და სასჯელაღსრულების სისტემის ეფექტიან ტრენინგს შშმ პირთა უფლებებზე.

თ. მუხლი 14 - პიროვნების თავისუფლება და უსაფრთხოება;

მუხლი 15 - წამების, სასტიკი, არაჰუმანური და დამამცირებელი მოპყრობისა ან სასჯელისაგან თავისუფლება;

მუხლი 16 - ექსპლუატაციის, ძალადობისა და შეურაცხყოფისაგან თავისუფლება;

მუხლი 17 - პიროვნების ხელშეუხებლობის დაცვა.

56. შშმ პირები შეიძლება არაპროპორციულად გახდნენ ძალადობის ან სასტიკი და დამამცირებელი სასჯელის მსხვერპლნი, რასაც შეიძლება ჰქონდეს თავისუფლების აღკვეთის, სეგრეგაციის, ან ძალადობრივი თავდასხმის ფორმა. კომიტეტი განსაკუთრებით შემფოთებულია შშმ პირების, მათ შორის, ბავშვების მიმართ საფუძველშივე დისკრიმინაციული ქმედებებით, რომლებიც ეფუძნება დარღვევას, მაგალითად: შშმ ბავშვების გამოყოფა საკუთარი ოჯახებისაგან და იძულებით მოთავსება ინსტიტუციებში; თავისუფლების აღკვეთა; წამება, სასტიკი, არაჰუმანური ან დამამცირებელი მოპყრობა ან დასჯა; ძალადობა; შშმ პირთა იძულებითი მკურნალობა ფსიქიკური ჯანმრთელობის დაწესებულებებში ან მათ ფარგლებს გარეთ. წევრმა სახელმწიფოებმა შესაბამისი ზომები უნდა მიიღონ, რომ შშმ პირები დაიცვან ექსპლუატაციის ყველა ფორმის, ძალადობისა და შეურაცხყოფისაგან და თავიდან აიცილონ მსგავსი შემთხვევები. დარღვევების იძულებითი, გამოსასწორებელი მკურნალობა უნდა აიკრძალოს.

I. მუხლი 19 - დამოუკიდებელი ცხოვრება და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვა

57. კონვენციის მე-19 მუხლი კიდევ ერთხელ აღიარებს შშმ პირთა დისკრიმინაციის დაუშვებლობას, ასევე, მათ უფლებას, იცხოვრონ დამოუკიდებლად და საზოგადოებაში სრული ჩართულობით. ამ უფლების რეალიზებისათვის, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ეფექტიანი და სათანადო ზომები, რომელთა მეშვეობითაც შშმ პირები სრულად შეძლებენ საზოგადოებაში ჩართვასა და მონაწილეობას და საკუთარი უფლებებით სარგებლობას. ეს მოიცავს დენსტიტუციონალიზაციის სტრატეგიების შემუშავებასა და რესურსების გამოყოფას დამოუკიდებელი ცხოვრების მხარდამჭერი მომსახურების, ფიზიკურად და მატერიალურად მისაწვდომი საცხოვრისის, ოჯახის მომვლელთა მხარდაჭერისა და ინკლუზიური განათლების უზრუნველყოფისათვის, კომიტეტის №5 (2017) ზოგადი კომენტარის შესაბამისად.

58. კონვენციის მე-19 მუხლი აღიარებს შშმ პირის უფლებას, რომ საკუთარი მდგომარეობის გამო, იძულებული არ გახდეს, გარკვეულ საცხოვრისში იცხოვროს. ინსტიტუციონალიზაცია დისკრიმინაციულია, რადგან ის მიუთითებს საზოგადოებაში შშმ პირთა მხარდაჭერისა და მომსახურების არარსებობაზე და ისინი იძულებულნი არიან, მკურნალობის მისაღებად დათმონ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობა. შშმ პირთა ინსტიტუციონალიზაცია, როგორც საჯარო სექტორის ფსიქიკური ჯანმრთელობის მომსახურებით სარგებლობის წინაპირობა, გულისხმობს განსხვავებულ მოპყრობას შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე. შესაბამისად, ის დისკრიმინაციულია.

59. ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის შესაბამისად, მხარდაჭერის მომსახურებაზე წვდომისათვის, შერჩევის კრიტერიუმები თუ პროცედურები უნდა განისაზღვროს არადისკრიმინაციულად და ყურადღებას ამახვილებდეს კონკრეტული პირის მოთხოვნებზე, და არა მის დარღვევაზე. მხარდაჭერის მომსახურება უნდა იყოს ადამიანებზე ორიენტირებული, ასაკისა და გენდერის მიხედვით მგრძობიარე და კულტურულად შესაბამისი.

60. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა აკრძალონ დამოუკიდებელი ცხოვრებისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობის პრაქტიკული ან პროცედურული ბარიერების დაწესება მესამე მხარეთა მიერ და თავიდან აირიდონ მსგავსი შემთხვევები (მაგ.: მომსახურებები შეესაბამებოდეს დამოუკიდებელ და საზოგადოებრივ ცხოვრებას; შშმ პირებს არ ჩამოერთვათ ქირაობის უფლება, ან არ იჩაგრებოდნენ უძრავი ქონების ბაზარზე).

ი. მუხლი 23 - საცხოვრებლისა და ოჯახის პატივისცემა

61. შშმ პირები ხშირად ხდებიან დისკრიმინაციის მსხვერპლნი, როდესაც ცდილობენ ქორწინების, მშობლისა და ოჯახის შექმნის უფლებებით სარგებლობას, რაც დისკრიმინაციული კანონების, პოლიტიკისა და ადმინისტრაციული მექანიზმების შედეგია. შშმ მშობლები ხშირად მიიჩნევიან საკუთარი ბავშვების მოვლისათვის შეუსაბამოდ ან უუნაროდ. მშობლებისათვის ბავშვის წართმევა ბავშვის, მშობლის, ან ორივე მათგანის შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე, დისკრიმინაციაა და არღვევს 23-ე მუხლს.

62. ბავშვების ინსტიტუციებში განთავსება მათი სპეციფიკური საჭიროებების გამო, ასევე დისკრიმინაციის ფორმაა, რასაც კრძალავს კონვენციის 23-ე მუხლის მე-5 პუნქტი. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ შშმ მშობლებს საზოგადოებაში საკუთარი შვილების მოვლისათვის აუცილებელი მხარდაჭერა ჰქონდეთ.

კ . მუხლი 24 - განათლება

63. ზოგიერთი წევრი სახელმწიფოს უუნარობა, რომ შშმ სტუდენტებისათვის (იგულისხმებთან როგორც ხილული, ისე უხილავი შშმ სტუდენტები, ასევე, მრავალგვარი ან ინტერსექციური დისკრიმინაციის მსხვერპლნი) ჩვეულებრივ სკოლებში უზრუნველყოს ინკლუზიური და ხარისხიანი მისაწვდომობა, დისკრიმინაციაა, კონვენციის მიზნებს ეწინააღმდეგება და პირდაპირ არღვევს მე-5 და 24-ე მუხლებს. 5(1) მუხლი, 24-ე მუხლთან ერთად, წევრ სახელმწიფოებს აკისრებს ინკლუზიური განათლების ყოველგვარი დისკრიმინაციული ბარიერის, მათ შორის, სამართლებრივი და სოციალური დაბრკოლებების აღმოფხვრის ვალდებულებას.

64. განათლების სეგრეგაციული მოდელები, რომლებიც შშმ სტუდენტებს ჩვეულებრივი და ინკლუზიური განათლებიდან გარიყავს შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე, პირდაპირ არღვევს კონვენციის 5(2) და 24(1)(a) მუხლებს. მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი წევრ სახელმწიფოებს გონივრული მისადაგების უზრუნველყოფისათვის ყველა სათანადო ნაბიჯის გადადგმას ავალდებულებს. ამ უფლებას შშმ პირებისათვის დამატებით ძალას ანიჭებს 24-ე მუხლის 2(b) პუნქტი, რომელიც წევრ სახელმწიფოებს აკისრებს ვალდებულებას, შშმ პირებისათვის სხვების თანასწორად უზრუნველყონ ინკლუზიური განათლება იმ საზოგადოებაში, რომელშიც ცხოვრობენ. ეს მიზანი, 24-ე მუხლის 2(c) პუნქტის შესაბამისად, მიიღწევა კონკრეტული პირის მოთხოვნისათვის გონივრული მისადაგებით, ან უნივერსალური დიზაინის მქონე ახალი და ინკლუზიური გარემოს შექმნით. შეფასების სტანდარტიზებული სისტემები, მათ შორის, მისაღები გამოცდები, რომლებიც შშმ პირებს პირდაპირ ან ირიბად გამორიცხავს, დისკრიმინაციის ფორმაა და არღვევს მე-5 და 24-ე მუხლებს. წევრი სახელმწიფოების მოვალეობები სკოლის მიღმაც ვრცელდება. მათ უნდა უზრუნველყონ სასკოლო ტრანსპორტი ყველა შშმ სტუდენტისათვის, რომლებსაც სოციალური ან ეკონომიკური ბარიერების გამო ტრანსპორტზე წვდომა არ აქვთ.

65. საგანმანათლებლო დაწესებულებებში სმენადაქვეითებული ბავშვების თანასწორობისათვის და დისკრიმინაციის ასაკრძალად, უნდა არსებობდეს სასწავლო გარემო ჟესტების ენაზე, სდაც იქნებიან სხვა სმენადაქვეითებული ბავშვებიც და მისაბამ მაგალითად დაეხმარებიან სმენადაქვეითებული ზრდასრულები. სმენადაქვეითებული ბავშვების მასწავლებელთა მხრიდან ჟესტების ენის არცოდნა, ასევე, სკოლის გარემოს მიუწვდომლობა, გამორიცხავს ამ ბავშვებს სასწავლო სივრციდან, რაც დისკრიმინაციად მიიჩნევა. კომიტეტი სახელმწიფოებს მოუწოდებს, რომ მე-5 და 24-ე მუხლებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისათვის, იხელმძღვანელონ №4 (2016) ზოგადი კომენტარით ინკლუზიური განათლების შესახებ.

ლ. მუხლი 25 - ჯანმრთელობა

66. კონვენციის მე-5 და 25-ე მუხლების შესაბამისად, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა აკრძალონ და თავიდან აირიდონ დისკრიმინაციული უარი შშმ პირთა მიერ ჯანდაცვის სერვისების წვდომაზე, მათ შორის, სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის უფლებებზე. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა გადადგან ნაბიჯები შშმ პირთა დისკრიმინაციის წინააღმდეგ, რომელიც არღვევს მათ ჯანმრთელობის უფლებას თავისუფალი და ინფორმირებული თანხმობის საფუძველზე ჯანდაცვის მიღების,¹⁴ ასევე, ობიექტებისა თუ ინფორმაციის მიუწვდომლობით.¹⁶

¹⁴ იხ. ზოგადი კომენტარი №1, პუნქტი 41.

მ. მუხლი 27 - შრომა და დასაქმება

67. კონვენციით გათვალისწინებული დე ფაქტო თანასწორობის მისაღწევად, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ შრომასა და დასაქმებასთან მიმართებით არ არსებობდეს დისკრიმინაცია შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე.¹⁵ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული გონივრული მისადაგებისა და მე-4 პუნქტით გათვალისწინებული დე ფაქტო თანასწორობის მიღწევის/დაჩქარების მიზნით, წევრმა სახელმწიფოებმა:

(a) ხელი უნდა შეუწყონ სეგრეგირებული სამუშაო გარემოდან შშმ პირთა ტრანზიციას და მხარი დაუჭირონ მათ ჩართულობას ღია ბაზარზე; შუალედურ პერიოდში ამ გარემოზე დაუყოვნებლივ გაავრცელონ შრომის უფლებები;

(b) ხელი შეუწყონ მხარდაჭერილი დასაქმების (მაგ.: შრომითი დახმარების, წვრთნისა და პროფესიული საკვალიფიკაციო პროგრამების) უფლებას; დაიცვან შშმ მშრომელთა უფლებები, მათ შორის, თავისუფალი დასაქმების უფლება;

(c) უზრუნველყონ, რომ შშმ პირების ანაზღაურება არ იყოს მინიმალურ ხელფასზე ნაკლები და, სამსახურის დაწყების შემთხვევაში, შშმ პირებმა არ დაკარგონ სოციალური შეღავათები;

(d) გონივრულ მისადაგებაზე უარი ღიად აღიარონ დისკრიმინაციად და აკრძალონ მრავალგვარი და ინტერსექციური დისკრიმინაცია, ისევე, როგორც შევიწროება;

(e) შშმ პირებისათვის უზრუნველყონ სათანადო, არადისკრიმინაციული გადასვლა დასაქმებაზე და პირიქით. წევრ სახელმწიფოებს ეკისრებათ შეღავათებისა და შემწეობის, მათ შორის, პენსიისა და უმუშევრობის დახმარების თანაბარი და ეფექტიანი მისაწვდომობის ვალდებულება. მსგავსი შეღავათები არ უნდა დაირღვეს დასაქმებიდან გამორიცხვის შედეგად, რაც კიდევ უფრო გაამწვავებდა სიტუაციას;

(f) ხელი შეუწყონ ინკლუზიურ, მისაწვდომ, უსაფრთხო და ჯანსაღ სამუშაო გარემოში მუშაობას, როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში;

(g) შშმ პირებისათვის უზრუნველყონ თანაბარი შესაძლებლობები კარიერული წინსვლის თვალსაზრისით, საკუთარ მენეჯერებთან რეგულარული შესაფასებელი შეხვედრებითა და ყოვლისმომცველი სტრატეგიის ფარგლებში მისაღწევი მიზნების განსაზღვრით;

(h) უზრუნველყონ ტრენინგის, გადამზადებისა და განათლების, მათ შორის, პროფესიული განათლებისა და შესაძლებლობების განვითარების კურსები შშმ პირებისათვის; ასევე, შშმ პირთა დასაქმებისა და გონივრული მისადაგების ტრენინგები დამსაქმებლების, დასაქმებულების, დამსაქმებელთა წარმომადგენელი ორგანიზაციების, პროფკავშირებისა და კომპეტენტური ორგანოებისათვის;

(i) იმუშაონ იმაზე, რომ სამუშაო ადგილას ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ზომები იყოს შშმ პირებისათვის მისაწვდომი, არადისკრიმინაციული და მოიცავდეს ამ პირებს;

(j) აღიარონ შშმ პირთა წვდომის უფლება პროფკავშირებზე.

¹⁵ იხ. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 1958 წლის კონვენცია შრომისა და საქმიანობის სფეროში დისკრიმინაციის შესახებ (№111), და 1983 წლის კონვენცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პროფესიული რეაბილიტაციისა და დასაქმების შესახებ (№159).

¹⁶ იხ. ზოგადი კომენტარი №2, პუნქტი 40.

ნ. მუხლი 28 - ცხოვრების ადეკვატური სტანდარტი და სოციალური დაცვა

68. კომიტეტის მე-3 ზოგადი კომენტარის 59-ე პუნქტის მიხედვით, სიღარიბე მრავალგვარი დისკრიმინაციის შემადგენელი ფაქტორი და შედეგია. ცხოვრების ადეკვატური სტანდარტის უფლების არქონა შშმ პირებისა და მათი ოჯახებისათვის ეწინააღმდეგება კონვენციის მიზნებს. ეს პრობლემა განსაკუთრებით საგანგაშოა იმ შშმ პირებთან მიმართებით, რომლებიც უკიდურეს სიღარიბესა და გაჭირვებაში ცხოვრობენ. სხვების მსგავსად ცხოვრების ადეკვატური სტანდარტის მიღწევა შშმ პირებს დამატებითი ხარჯების ფასად უწევთ. ეს განსაკუთრებით ცუდ მდგომარეობაში აყენებს უკიდურეს სიღარიბეში მცხოვრებ შშმ ბავშვებსა და ხანდაზმულ ქალებს. წევრმა სახელმწიფოებმა ეფექტიანი ზომები უნდა მიიღონ, რათა შშმ პირებმა საკუთარ სიტუაციასთან დაკავშირებით დამატებითი ხარჯების დაფარვა შეძლონ. წევრ სახელმწიფოებს ეკისრებათ ვალდებულება, დაუყოვნებლივი ნაბიჯებით უზრუნველყონ უკიდურეს სიღარიბეში მცხოვრები შშმ პირებისათვის ადეკვატური საკვები, სამოსი და მინიმალური სტანდარტი საცხოვრისის კუთხით.¹⁶

69. წევრ სახელმწიფოებს დამატებით ეკისრებათ საბაზისო დონის სოციალური დაცვის ვალდებულება.

ო. მუხლი 29 - პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობა

70. საარჩევნო პროცესებიდან და პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის სხვა ფორმებიდან გამორიცხვა შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე დისკრიმინაციის ხშირი მაგალითებია. არცთუ იშვიათად ისინი უკავშირდება სამართლებრივ ქმედუნარიანობაზე უარს ან მის შეზღუდვას. წევრმა სახელმწიფოებმა მიზნად უნდა დაისახონ:

(ა) იმ კანონების, პოლიტიკისა და რეგულაციების რეფორმირება, რომლებიც სისტემატურად გამორიცხავენ შშმ პირებს ხმის მიცემისა და/ან არჩევნებზე კანდიდატურის დაყენებისაგან;

(ბ) შშმ პირებისათვის საარჩევნო პროცესის მისაწვდომობა, როგორც არჩევნებამდე, ისე არჩევნების მიმდინარეობისას და შემდგომ;

(გ) გონივრული მისადაგება კონკრეტული შშმ პირებისათვის და ისეთი ზომების მხარდაჭერა, რომლებიც ეფუძნება შშმ პირთა ინდივიდუალურ მოთხოვნილებებს საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობისათვის;

(დ) შშმ პირთა წარმომადგენლობითი ორგანიზაციების მხარდაჭერა და მათი ჩართვა პოლიტიკური მონაწილეობის პროცესში როგორც ეროვნულ, ისე რეგიონულ და საერთაშორისო დონეებზე; მათ შორის, მსგავს ორგანიზაციებთან კონსულტაცია შშმ პირებთან პირდაპირ დაკავშირებულ საკითხებზე;

(ე) ისეთი საინფორმაციო სისტემებისა და კანონმდებლობის შექმნა, რომლებიც ხელს უწყობს შშმ პირთა განგრძობით პოლიტიკურ მონაწილეობას, არჩევნებს შორის პერიოდის ჩათვლით.

პ. მუხლი 31 - სტატისტიკისა და მონაცემთა შეგროვება

71. მონაცემთა შეგროვება და ანალიზი აუცილებელი ზომებია ანტიდისკრიმინაციული პოლიტიკისა და კანონების მონიტორინგისათვის.

¹⁶ იხ. ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტის №3 (1990) კომენტარი წევრი სახელმწიფოების ვალდებულებების შესახებ, პუნქტი 10.

წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მოაგროვონ და გააანალიზონ მონაცემები, რომლებიც უნდა დახარისხდეს შეზღუდული შესაძლებლობებისა და ინტერსექციური კატეგორიების მიხედვით. შეგროვებული მონაცემები უნდა მოიცავდეს ინფორმაციას დისკრიმინაციის ყველა ფორმის შესახებ. ისინი უნდა იყოს ფართო სპექტრის და აერთიანებდეს სტატისტიკას, ნარატივებსა და მონაცემთა სხვა ფორმებს (მაგ.: ახალი ან მიმდინარე ინიციატივებისა თუ პოლიტიკის განხორციელებასა და პროგრესზე მონიტორინგის/შეფასების მაჩვენებლები). შეზღუდულ შესაძლებლობებზე მორგებული ინდიკატორები უნდა განისაზღვრებოდეს და გამოიყენებოდეს მდგრადი განვითარების 2030 წლის დღის წესრიგის შესაბამისად. მონაცემთა შემუშავების, შეგროვებისა და ანალიზის პროცესი უნდა იყოს მონაწილეობითი, ანუ წარიმართოს შშმ პირების, მათ შორის, ბავშვების წარმომადგენელ ორგანიზაციებთან მჭიდრო და არსებითი კონსულტაციებით. პირები, რომლებიც ჩაკეტილ სივრცეებში (მაგ.: ინსტიტუციები და ფსიქიატრიული დაწესებულებები) ცხოვრობენ, კვლევებისა და შესწავლის პროცესის დროს ხშირად არ ხვდებიან შეგროვებულ მონაცემებში, არადა მათი გათვალისწინება აუცილებელია.

ქ. მუხლი 32 - საერთაშორისო თანამშრომლობა

72. საერთაშორისო თანამშრომლობის ყველა პროცესი, მდგრადი განვითარების 2030 წლის დღის წესრიგის ჩათვლით, უნდა მოიცავდეს შშმ პირებს, მისაწვდომი იყოს მათთვის და ხელმძღვანელობდეს კონვენციით. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა შეიმუშაონ მონიტორინგის ჩარჩოები, რომლებიც მოიცავს ადამიანის უფლებათა ინდიკატორებს და თითოეული ინდიკატორის კონკრეტულ კრიტერიუმებსა და მიზნებს, მდგრადი განვითარების მე-10 მიზნის შესაბამისად. საერთაშორისო თანამშრომლობა უნდა მიემართებოდეს ისეთი ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობისა და პოლიტიკის ხელშეწყობას, რომლებიც კონვენციის, მდგრადი განვითარების 2030 წლის დღის წესრიგისა და ადამიანის უფლებათა სხვა ჩარჩოების შესაბამისად, სრულ ინკლუზიას ითვალისწინებს.

VIII. იმპლემენტაცია ეროვნულ დონეზე

73. ზემოაღნიშნული ნორმატიული შინაარსისა და ვალდებულებების გათვალისწინებით, წევრმა სახელმწიფოებმა კონვენციის მე-5 მუხლის სრული იმპლემენტაციისათვის უნდა გადადგან შემდეგი ნაბიჯები:

(a) ჩაატარონ კვლევები, რომლებიც მიემართება შემდეგ საკითხებს: ეროვნული კანონმდებლობისა და პრაქტიკის ჰარმონიზება კონვენციასთან; კონვენციასთან შეუსაბამო დისკრიმინაციული კანონებისა და რეგულაციების გაუქმება; შშმ პირთა მიმართ დისკრიმინაციული ტრადიციებისა და პრაქტიკის შეცვლა ან აღმოფხვრა;

(b) შეიმუშაონ ანტიდისკრიმინაციული კანონები იქ, სადაც ჯერ კიდევ არ არსებობს; აამოქმედონ შეზღუდული შესაძლებლობების მომცველი ანტიდისკრიმინაციული კანონები, რომლებსაც აქვთ ფართო პირადი და მატერიალური მასშტაბი და ეფექტიანად უზრუნველყოფენ სამართლებრივ დაცვას. მსგავსი კანონები ეფექტიანია მხოლოდ მაშინ, თუ ეფუძნება შეზღუდული შესაძლებლობის ისეთ განსაზღვრებას, რომელშიც ერთიანდებიან: გრძელვადიანი ფიზიკური, მათ შორის, ფსიქოსოციალური, ინტელექტუალური ან სენსორული დარღვევების მქონე ადამიანები; პირები, რომლებსაც შეზღუდული შესაძლებლობები ამჟამად აქვთ; ვისაც ისინი წარსულში აღენიშნებოდათ; ვინც მომავალში დგას ასეთი რისკის წინაშე; ვის მიმართაც

ივარაუდება შესაძლებლობათა შეზღუდვა; და ვინც შშმ პირთან არის ასოცირებული. პირებს, რომლებიც შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე გახდნენ დისკრიმინაციის მსხვერპლნი და ანაზღაურებას სამართლებრივი გზით ითხოვენ, კანონისმიერი დაცვით სარგებლობისათვის, არ უნდა ეკისრებოდეთ შესაძლებლობის „საკმარისად“ შეზღუდვის მტკიცების ტვირთი. შეზღუდული შესაძლებლობის მომცველი ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობა მიზნად უნდა ისახავდეს დისკრიმინაციული აქტის კანონგარეშედ გამოცხადებასა და პრევენციას. ის არ უნდა მიემართებოდეს დაცვის კონკრეტულ ჯგუფს. ამ კუთხით, კონვენციას შეესაბამება შეზღუდული შესაძლებლობის ფართო განსაზღვრება;

(c) უზრუნველყონ ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის გავრცელება კერძო და საჯარო სექტორებზე, ასევე, ისეთ სფეროებზე, როგორცაა განათლება, დასაქმება, საქონელი და მომსახურება და მისი მიმართება შემდეგ ასპექტებთან: შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე დისკრიმინაცია, მათ შორის, სეგრეგირებული განათლება, ინსტიტუციონალიზაცია, სამართლებრივ ქმედუნარიანობაზე უარი ან მისი შეზღუდვა, იძულებითი ფსიქიკური მკურნალობა, შესტების ენის ინსტრუქტორებსა და პროფესიონალ თარჯიმნებზე უარი; ასევე, ბრაილი და კომუნიკაციის სხვა ალტერნატიული თუ დამხმარე ფორმები, მეთოდები და ფორმატი;

(d) ხელი შეუწყონ სრულ ჩართულობას დასაქმებისა და პროფესიული განათლების ძირითად მომსახურებებში, მათ შორის, რომლებიც ხელს უწყობს ანტრეპრენერობას, ასევე, კოოპერატივებისა და სოციალური ეკონომიკის სხვა ფორმების ჩამოყალიბებას;

(e) შშმ პირები დისკრიმინაციისაგან დაიცვან იმავე სტანდარტით, რომელიც განსაზღვრულია სხვა სოციალური ჯგუფებისათვის;

(f) შეიმუშაონ და განახორციელონ ცოდნისა და შესაძლებლობების განვითარების პროგრამები, სახელმწიფო ორგანოებსა და არაფორმალურ ეკონომიკაში ტრენინგების ჩათვლით, რათა უზრუნველყონ კონფერენციასთან შესაბამისობა. ცნობიერების ამაღლება და შესაძლებლობების განვითარება უნდა წარიმართოს შშმ პირებისა და მათი ფართო სპექტრის წარმომადგენელი ორგანიზაციების არსებითი ჩართულობით. ეს პროცესი უნდა წარადგენდეს უმნიშვნელოვანეს კომპონენტებს ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების კულტურის შესაქმნელად, რაც, თავის მხრივ, ანტიდისკრიმინაციული კანონებისა და პოლიტიკის საფუძველია;

(g) მონიტორინგი გაუწიონ, რომ შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე დისკრიმინაციის საჩივრები, რაოდენობრივად, ამ საკითხზე აღძრული ყველა საჩივრის პროპორციული იყოს და დახარისხდეს სქესის, ასაკის, გამოკვეთილი ბარიერებისა და დისკრიმინაციის ჩადენის სექტორების მიხედვით. მათ უნდა უზრუნველყონ ინფორმაცია საქმეებზე, რომლებიც გადაწყდა სასამართლო დავით, უმისოდ, ან სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე, ანდა რომლებსაც შედეგად მოჰყვა ანაზღაურება ან სანქციები;

(h) შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე დისკრიმინაციის მსხვერპლთათვის ჩამოაყალიბონ ზიანის ანაზღაურების მისაწვდომი და ეფექტიანი მექანიზმები და სხვების თანასწორად უზრუნველყონ მართლმსაჯულებაზე წვდომა. ეს მოიცავს ყველა შშმ პირის წვდომას სამართლებრივ და/ან ადმინისტრაციულ პროცედურებზე, მათ შორის, გასაჩივრების ეფექტიან და ხელმისაწვდომ მექანიზმებსა და შესაბამის სამართლებრივ დახმარებაზე (საჭიროებისა და დამსახურების კანონით დადგენილ ტესტებზე დაყრდნობით). წევრი სახელმწიფოები ეფექტიანად და დროულად უნდა ჩაერიონ საჯარო და კერძო აქტორების ისეთი ქმედების ან უმოქმედობის შემთხვევაში, რომლებიც არღვევს შშმ პირებისა თუ მათი

ჯგუფების თანასწორობისა და დისკრიმინაციის დაუშვებლობის უფლებას, როგორც სამოქალაქო და პოლიტიკურ, ისე ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებთან მიმართებით. კოლექტიური სამართლებრივი დაცვის საშუალებებისა და სარჩელების აღიარებამ შესაძლოა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს ისეთ საკითხში, როგორცაა შშმ პირთა ჯგუფების ეფექტიანი წვდომა მართლმასჯულებაზე, მათზე ზეგავლენის მქონე სიტუაციებში;

(i) ეროვნულ ანტიდისკრიმინაციულ კანონში ჩართონ პირების დაცვა ცუდი მოპყრობისა და ცუდი შედეგებისაგან, რომლებიც მოჰყვება სარჩელის შეტანას ან საქმისწარმოებას თანასწორობის ნორმებთან შესაბამისობაზე. ანტიდისკრიმინაციულმა კანონმდებლობამ ასევე უნდა უზრუნველყოს, რომ დისკრიმინაციის მსხვერპლთ ხელი არ შეეშალოს სამართლებრივ დაცვაში და ხელახალი დისკრიმინაციის ქვეშ არ აღმოჩნდნენ. პროცედურული წესების მეშვეობით, განსაკუთრებით ისეთ საქმეებში, რომლებშიც არსებობს ფაქტები ვარაუდისათვის, რომ მოხდა დისკრიმინაცია, მტკიცების ტვირთი მოსარჩელიდან უნდა გადავიდეს მოპასუხეზე;

(j) შშმ პირთა ორგანიზაციებთან, ადამიანის უფლებათა სახელმწიფო ინსტიტუტებსა და სხვა შესაბამის დაინტერესებულ პირებთან, მათ შორის, თანასწორობის ორგანოებთან მჭიდრო კონსულტაციით, შეიმუშაონ თანასწორობის პოლიტიკა და სტრატეგია, რომელიც მოიცავს და მისაწვდომია ყველა შშმ პირისთვის;

(k) საზოგადოების ყველა ნაწილში - ხელისუფლების ნებისმიერ შტოში მოქმედი სახელმწიფო თანამდებობის პირებისა და კერძო სექტორის ჩათვლით - გაზარდონ ცოდნა ისეთ საკითხებზე, როგორცაა შშმ პირთა თანასწორობისა და დისკრიმინაციის დაუშვებლობის ფარგლები, შინაარსი და პრაქტიკული შედეგები;

(l) შესაბამისი ზომები მიიღონ ინკლუზიური თანასწორობის რეგულარული და ყოვლისმომცველი მონიტორინგისათვის. ეს მოიცავს შშმ პირთა მდგომარეობის შესახებ დახარისხებული მონაცემების შეგროვებასა და ანალიზს;

(m) კონვენციის 33-ე მუხლით გათვალისწინებული მონიტორინგის ეროვნული მექანიზმები იყოს დამოუკიდებელი, ეფექტიანად მოიცავდეს შშმ პირთა წარმომადგენელ ორგანიზაციებს და ფლობდეს სათანადო რესურსებს ამ პირთა დისკრიმინაციის საპირისპიროდ;

(n) უზრუნველყონ სპეციალური დაცვა ძალადობის, ექსპლუატაციის, ცუდი მოპყრობისა და ხელშეუხებლობის დარღვევებისაგან, რომლებიც სახელდობრ ან არაპროპორციულად მიემართება შშმ პირებს; კეთილსინდისიერად უზრუნველყონ მათი პრევენცია და მათგან სამართლებრივი დაცვა;

(o) შშმ პირებისათვის, რომლებიც ყველაზე ხშირად ხდებიან ინტერსექციური დისკრიმინაციის მსხვერპლნი (მაგ.: ქალები, გოგონები, ბავშვები, ხანდაზმულები და მკვიდრი მოსახლეობა), ინკლუზიური თანასწორობის მისაღწევად მიიღონ სპეციალური ზომები;

(p) წევრმა სახელმწიფოებმა, რომლებიც დიდი რაოდენობით იღებენ თავშესაფრის მაძიებლებს, ლტოლვილებსა და მიგრანტებს, დანერგონ ფორმალური, სამართლებრივად განსაზღვრული პროცედურები, რომლებიც შშმ პირების, მათ შორის, ქალებისა და ბავშვების, ასევე, ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირებისთვის უზრუნველყოფს წვდომას მიმღებ ობიექტებსა და სხვა გარემოზე. წევრი სახელმწიფოების ძალისხმევით, შშმ პირებს უნდა გაეწიოთ ფსიქოსოციალური და სამართლებრივი კონსულტაცია, მხარდაჭერა, სარეაბილიტაციო და დაცვის მომსახურება, რომლებიც იქნება კონკრეტული შეზღუდული შესაძლებლობის, ასაკის, გენდერისა და კულტურის შესაბამისი.